186/1925 /2

ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

1925 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

# Собрание Узаконений и Распоряжений

РАБОЧЕ-КРЕСТ. ПРАВИТ. ГРУЗИИ

1925 г.

Издание Народного Комиссариата Юстиции

| აპრილი—ივნისი | № 2 | ნაწ. პირველი | Апрель-Июнь | № 2 | Отд. ПЕРВЫЙ |
|---|---|---|---|---|---|

## შინაარსი:

28. დადგენილება № 16 ც. ა. კ. „გლეხის ცენტრალური სახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ (დებულებითურთ).

29. დადგენილება № 17 ც. ა. კ. „მიწის კოდექსის 19, 67, 96, და 161 მუხლების შეცვლის შესახებ“.

30. დადგენილება № 18 ც. ა. კ. „მიწების ჩამორთმევის წესის შესახებ“.

31. დადგენილება № 19 ც. ა. კ. „ცენტრალური კომისიის დაარსების შესახებ იმ პირთათვის პენსიის დასანიშნავად, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით სახელმწიფოს წინაშე“.

32. დადგენილება № 20 ც. ა. კ. „ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ამგები კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“. (დებულებითურთ).

33. დადგენილება № 21 ც. ა. კ. „განსაკუთრებულ შემთხვევაში მოკლევადიანი შვებულების მიცემის შესახებ იმ მსჯავრდადებულთათვის, რომელნიც სასჯელს გამასწორებელ სახლში იხდიან, ხოლო მათ შორის იმათთვის, ვინც მუშაობას ეწევა, 24-საათიანი შვებულების მიცემის შესახებ“.

34. დადგენილება № 22 ც. ა. კ. „საკურორტო მიწის ფონდიდან მიწის ნაკვეთების საალნაგო უფლების საფუძველზე გაცემის შესახებ“.

35. დადგენილება № 23 ც. ა. კ. „სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 211 მუხ. მე-2 პუნქ. გათვალისწინებული წესიდან ზოგიერთი კატეგო-

## СОДЕРЖАНИЕ:

28. Постановление № 16 ВЦИК-а „Об утверждении положения о Центральном Доме Крестьянина ССР Грузии“ (с положением).

29. Постановление № 17 ВЦИК-а „Об изменении ст. ст. 19, 67, 96 и 161 Земельного Кодекса“.

30. Постановление № 18 ВЦИК-а „О порядке отобрания земель“.

31. Постановление № 19 ВЦИК-а „Об организации Центральной Комиссии по назначению пенсий лицам, оказавшим особые заслуги пред государством“.

32. Постановление № 20 ВЦИК-а „Об утверждении Положения о Комитете по сооружению Земо-Авчальской Гидро-Электрической станции“.

33. Постановление № 21 ВЦИК-а „О предоставлении отбывающим наказание в Исправдомах в исключительных случаях краткосрочных отпусков, а также 24-часовых отпусков тем из них, которые заняты работой“.

34. Постановление № 22 ВЦИК-а „О сдаче на праве застройки участков из фонда курортных земель“.

35. Постановление № 23 ВЦИК-а „Об из'ятии из п. 2 ст. 211 Гражданского Процессуального Кодекса для некоторой категории протестованных векселей“.

36. Постановление № 24 ВЦИК-а

რიის პროტესტქმნილ თამასუქებისათვის გამონაკლისის შესახებ“.

36. დადგენილება № 24 ც. ა. კ. „სისხლის სამართლის კოდექსის მე-$100^1$ და $145^1$ მუხლებით შევსების შესახებ“.

37. დადგენილება № 25 ც. ა. კ. „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა სამმართველოს დაარსების შესახებ“ (დებულებითურთ).

38. დადგენილება № 26 ც. ა. კ. „ქუთაისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის სასარგებლოდ 1924/1925 წლისათვის სახელმწიფო სამონადირო გამოსაღებზე ზედნართის დაწესების შესახებ“.

39. დადგენილება № 27 ც. ა. კ. „იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რაც ძალასა ჰკარგავს მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათი ოჯახების შეღავათებისა და უპირატესობის შესახებ სსრკ ცაკის მიერ გამოცემულ კანონთა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების გამო“.

40. დადგენილება № 28 ც. ა. კ. „ყველა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისათვის იმ მოვალეობის დაკისრების შესახებ, რომ გააცნონ მოსახლეობას ჯარში მორიგ გაწვევისათვის დაწესებული შეღავათები“.

41. დადგენილება № 29 ც. ა. კ. „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული „გლეხის ცენტრალური სახლის“ მიერ გლეხთა საქმეების გამო აღძრულ შუამდგომლობათა პირველ რიგში განხილვის შესახებ“.

42. დადგენილება № 30 ც. ა. კ. „სამოქალაქო სამართლის კოდექსის 101 და 185 მუხ. შეცვლის შესახებ“.

43. დადგენილება № 31 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისათვის $454^1$ მუხლის დამატების შესახებ“.

44. დადგენილება № 32 ც. ა. კ. „სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266 მუხლის შეცვლის შესახებ“.

45. დადგენილება № 33 ც. ა. კ. და ს. კ. ს. „ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი საკურორტო სამმართველოს დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (დებულებითურთ).

46. დადგენილება № 34 ც. ა. კ. „სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-60

и СНК „О дополнении Уголовного Кодекса ст. ст. $100^1$ и $145^1$“.

37. Постановление № 25 ВЦИК-а и СНК „Об учреждении Управления Водного Хозяйства и мелиорации ССР Грузии (Грузводмельхоз-а) (с положением).

38. Постановление № 26 ВЦИК-а „Об установлении в пользу Кутаисского Уездного Исполнительного Комитета надбавки к государственному охотничьему сбору на 1924/1925 г.“.

39. Постановление № 27 ВЦИК-а „О законодательных актах, теряющих силу со введением в действие изданного ЦИК-ом СССР Кодекса законов о льготах и преимуществах для военно-служащих Р-К Красной Армии, Р-К Красного Флота Союза ССР и их семей“.

40. Постановление № 28 ВЦИК-а „О возложении на Уездные Исполкомы обязанности по оповещению населения о существующих льготах и очередных призывах в войска“.

41. Постановление № 29 ВЦИК-а „О рассмотрении в первую очередь ходатайства существующего при Всегрузинском Центральном Исполнительном Комитете Советов „Центрального Дома Крестьянина“ по делам крестьян“.

42. Постановление № 30 ВЦИК-а „Об изменении 101 и 185 ст. ст. Гражданского Кодекса“.

43. Постановление № 31 ВЦИК-а и СНК „О дополнении Уголовно-Процессуального Кодекса $454^1$ ст.“.

44. Постановление № 32 ВЦИК-а „Об изменении 266 статьи Гражданского Проц. Кодекса“.

45. Постановление № 33 ВЦИК-а и СНК „О введении в действие Положения о Главном Курортном Управлении при Комиссариате Здравоохранения (с положением)“.

46. Постановление № 34 ВЦИК-а „О дополнении 60 ст. Гражданского Кодекса примечанием 2“.

47. Постановление № 13 СНК „О переименовании центральных лечебно-показательных учреждений“.

48. Постановление № 14 СНК „О порядке приобретения, регистрации

მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ“.

47. დადგენილება № 13 ს. კ. ს. „ცენტრალურ-საჩვენებელ სამკურნალო დაწესებულებათათვის სახელწოდების შეცვლის შესახებ“.

48. დადგენილება № 14 ს. კ. ს „სასროლი მასალისა და სანადირო სასროლი იარაღის შეძენისა, რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესის შესახებ“.

49. დადგენილება № 15 ს. კ. ს. „სასოფლო მეურნეობის რესპუბლიკანური, სამაზრო და სათემო საექსპერტო კომისიების დაარსების შესახებ“.

50. დადგენილება № 16 ს. კ. ს. „მრეწველობის მდგომარეობის გამოკვლევის შესახებ“.

51. დადგენილება № 17 ს. კ. ს. „სრულიად საქართველოს მეაბრეშუმეთა კოოპერატიული საზოგადოების „აბრეშუმი“-ს დაარსების თაობაზე გამოცემული დადგენილების შევსების შესახებ“.

52. დადგენილება № 18 ს. კ. ს. „სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სატყეო ტრესტის „საქართველოს ტყე“-ს სალიკვიდაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ (დებულებითურთ).

53. დადგენილება № 19 ს. კ. ს. „საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ვინაობის წიგნაკის შემოღების თაობაზე გამოცემულ 1923 წ. № 83 დადგენილების მე-2 მუხლის შევსების შესახებ“.

54. დადგენილება № 20 ს. კ. ს. „იმ სახლების გაყიდვის წესის შესახებ, რომლებიც დაგირავებულ იყო საქართველოს ყოფილ საადგილ-მამულო ბანკებში და საჯარო ვაჭრობის დროს გაუყიდველი დარჩა.

55. დადგენილება № 21 ს. კ. ს. „იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლითაც განხორციელებულ უნდა იქნეს ა.|კ. ცენტრ. აღმ. კომ. და ა.|კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომ. საბჭოს 1922 წ. სექტემბრის 22-ს დადგენილება ს. ს. რ. კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტ. და სახ. კომისართა საბჭოს მიერ საბინაო კოოპერაციის თაობაზე 1924 წ. აგვისტოს 19-ს თარიღით გამოცემული დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისათვის“.

56. დადგენილება № 22 ს. კ. ს. „სამრეწველო საწარმოთა რეგისტრაციისა და ხელახალი რეგისტრაციის შესახებ“.

57. დადგენილება № 23 ს. კ. ს. „მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.

и учета охотничьего огнестрельного оружия и огнестрельных припасов“.

49. Постановление № 15 СНК „Об учреждении Республиканской, Уездных и Темских Экспертных Комиссий по сельскому хозяйству“.

50. Постановление № 16 СНК „Об обследовании состояния промышленности“.

51. Постановление № 17 СНК „О дополнении постановления об учреждении Всегрузинского Кооперативного Общества Шелководов „Абрешуми“.

52. Постановление № 18 СНК „Об утверждении Положения о Комиссии по ликвидации Лесного Треста ВСНХ Грузии под названием „Грузолес“ (с положением).

53. Постановление № 19 СНК „О дополнении ст. 2 Постановления Сов. Нар. Комиссаров ССРГ 1923 г. за № 83 относительно введения личных карточек“.

54. Постановление № 20 СНК „О порядке продажи домов, заложенных в бывших земельных банках Грузии и оставшихся непроданными с публичных торгов“.

55. Постановление № 21 СНК „О мероприятиях по проведению в жизнь постановления ЦИК-а и СНК ЗСФСР от 22 сентября 1924 г. о введении в действие постановления ЦИК а и СНК СССР от 19 августа 1924 г. о жилищной кооперации“.

56. Постановление № 22 СНК „О порядке регистрации и перерегистрации промышленных предприятий“.

57. Постановление № 23 СНК „О борьбе с малярией“.

## 28. დადგენილება № 16

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**გლეხის ცენტრალური სახლის დებულების დამტკიცების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. გლეხის ცენტრალური სახლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. აპრილის 4.

ტფილისი—სასახლე.

## დებულება

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის გლეხის ცენტრალური სახლის შესახებ.**

1. ქალაქ ტფილისში სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსდება გლეხის ცენტრალური სახლი, რომლის მიზანიც არის დახმარება გაუწიოს ტფილისში ჩამოსულ გლეხებს, რათა მათ დაიკმაყოფილონ საჭიროებანი სამეურნეო, აგრონომიულ, უფლებრივ და კულტურულ სფეროში.

2. გლეხის ცენტრალური სახლი ანხორციელებს ქალაქისა და სოფლის კავშირს, ეწევა ფართო კულტურულ მუშაობას და ამით დახმარებას უწევს სახელმწიფოს—განახორციელოს ღონისძიებანი, რაც ხელს შეუწყობს სოფლის კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ წინსვლას.

3. გლეხის ცენტრალური სახლი ანხორციელებს აღნიშნულ საქმეს და მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს ქალაქში ჩამოსულ გლეხებს მეურნეობის დარგში, რისთვისაც მისცემს მათ შესაფერ საერთო საცხოვრებელ თავშესაფარს, ღამის გასათევს, საკვებს და სხვ. და კულტურულ-განმანათლებელ დარგში, რისთვისაც, უმთავრესად, განახორციე-

## 28. Постановление № 16

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об утверждении Положения о Центральном Доме Крестьянина ССР Грузии.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Утвердить прилагаемое к настоящему постановлению Положение о Центральном Доме Крестьянина ССР Грузии.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *М. Цхакая.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. апреля 4.
Тифлис—Дворец.

## ПОЛОЖЕНИЕ

**о Центральном Доме Крестьянина ССР Грузии.**

1. В гор. Тифлисе при Всегрузинском Центральном Исполнительном Комитете Советов Республики Грузии учреждается Центральный Дом Крестьянина, задачей которого является содействие приезжающим в гор. Тифлис крестьянам в удовлетворении и обслуживании их нужд в области хозяйственной, агрономической, правовой и культурной.

2. Центральный Дом Крестьянина осуществляет смычку города с деревней, ведет широкую культурную работу и тем самым помогает государству проводить в жизнь мероприятия по культурному, политическому и экономическому под‘ему деревни.

3. Осуществляя указанные задачи, Центральный Дом Крестьянина имеет своей целью обслуживать приезжающее в город крестьянство в хозяйственном отношении путем предоставления удобного общежития—приюта, ночлега, питания и пр., и в культурно-просветительном, являясь в последнем случае, главным образом, проводником агрикультурных ме-

ლებს აგრო- კულტურულ ღონისძიებათ და გაავრცელებს სასოფლო-სამეურნეო ცოდნას; შეისწავლის სოფლის ცხოვრებას და საჭიროებას, ხელს შეუწყობს იმ საკითხების გადაწყვეტას, რასაც ჩამოსული გლეხები აღძრავენ ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში; გააცნობს გლეხობას რესპუბლიკის კანონმდებლობას; დაუახლოვებს მწარმოებელ გლეხობას სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

4. საერთო ხელმძღვანელობისათვის და სათანადო უწყებასთან და ორგანინიზაციასთან იმ საკითხების შეთანხმებისათვის, რაც გლეხის ცენტრალურ სახლის მოქმედებას შეეხება, აგრეთვე ამ სახლის გამოცდილების აღნუსხვისათვის და გლეხის ცენტრალური სახლის მოქმედებასთან დაკავშირებული იდეური და პრინციპიალური ხასიათის საკითხების განხილვისათვის, — ცენტრალურ სახლთან მოეწყობა საბჭო, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი; საბჭო შესდგება იმ უწყებათა წარმომადგენელთაგან, რომელნიც დაინტერესებული არიან წარმოებული მუშაობით.

5. აღნიშნულ საბჭოში შედიან წარმომადგენელნი: ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა, მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატისა, საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, განათლების სახალხო კომისარიატისა (პოლიტ-განათლების მთავარი სამმართველო), შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა საქართველოში, სამხედრო კომისარიატისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, გლეხის ცენტრალური სახლისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, კოოპერატიული ორგანიზაციებისა, გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებათა ცენტრალური კომიტეტისა და ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა; საბჭოს წევრები დაინიშნებიან ერთი წლის ვადით.

6. გლეხის ცენტრალურ სახლთან არსებულ საბჭოდან გამოიყოფა პრეზიდიუმი, რომელშიაც მუდმივ წევრებად შედიან წარმომადგენელნი—საქართვე-

роприятий и распространяя сельскохозяйственные знания; знакомится с жизнью и нуждами деревни, содействует в разрешении всех вопросов, возбуждаемых приезжающими крестьянами в Центральных Государственных учреждениях и общественных организациях; знакомит крестьян с законодательством Республики; сближает крестьян-производителей с государственными, кооперативными и общественными организациями.

4. Для общего руководства и согласования с ведомствами и организациями вопросов, относящихся к деятельности Центрального Дома Крестьянина, и учета опыта последнего, а также для обсуждения вопросов идейного и принципиального характера, связанных с деятельностью ЦДК, при последнем образуется утверждаемый Центральным Исполнительным Комитетом Грузии Совет из представителей ведомств, заинтересованных в работе среди крестьянства.

5. В означенный Совет входят представители Центрального Исполнительного Комитета Грузии, Наркомзема, РКИ Грузии, Наркомюстиции, Наркомздрава, Наркомпроса (Главполитпросвета), Наркомвнудел, Военного Комиссариата, Уползакнаркомфина в Грузии, ВСНХ, Центрального Дома Крестьянина, СПСГ, кооперативных организаций, ЦК Крестьянских обществ взаимопомощи и Тифисполкома. Члены Совета назначаются сроком на один год.

6. Из Совета при ЦДК выделяется Президиум, в который входят постоянными членами Представители ЦИК-а Грузии и ЦК Крестьянских обществ взаимопомощи, а также и заведующий ЦДК, назначаемый на эту должность из членов, входящих в совет. Заведующий имеет заместителя, при чем как заведующий домом, так и его заместитель утверждаются ЦИК-ом Грузии по представлению Совета. Ответственные сотрудники утверждаются ЦИК-ом Грузии по представлению заведующего домом, остальной-же технический персонал —утверждается Президиумом Совета

ლოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებათა ცენტრალური კომიტეტისა და აგრეთვე გლეხის ცენტრალური სახლის გამგე, რომელიც დაინიშნება ამ თანამდებობაზე საბჭოში შემავალ წევრთა რიცხვიდან. გამგეს ყავს მოადგილე; ამასთანავე როგორც სახლის გამგეს, ისე მის მოადგილეს დაამტკიცებს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოს წარდგენით. პასუხისმგებელ თანამშრომლებს დაამტკიცებს საბჭოს სახლის გამგის წარდგენით, ხოლო დანარჩენ ტეხნიკურ პერსონალს, დაწესებული შტატის ფარგალში, დაამტკიცებს საბჭოს პრეზიდიუმი სახლის გამგის წარდგენით.

**შენიშვნა.** გლეხის ცენტრალური სახლის გამგედ შეიძლება დაინიშნოს არა საბჭოს წევრიც.

7. საბჭოს და მისი პრეზიდიუმის ფუნქციები და აგრეთვე მათი კომპეტენციის ფარგლები განისაზღვრება ცალკე ინსტრუქციით, რომელსაც შეიმუშავებს საბჭო და დაამტკიცებს საქართველოს ცენტრალური ალასრულებელი კომიტეტი. საბჭო შეიმუშავებს და დადაამტკიცებს გლეხის ცენტრალური სახლის მუშაობისა და შინაგანი განწესრიგების დაწვრილებით ინსტრუქციას.

8. გლეხის ცენტრალურ სახლთან არსებული საბჭო თავისი მოქმედების ანგარიშს წარუდგენს ხოლმე საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ხოლო ფინანსიურ საკითხებში ანგარიშვალდებულია საერთო წესით.

9. გლეხის ცენტრალური სახლი შესდგება ორ განყოფილებისაგან: ა) ადმინისტრატიულ-სამეურნეო და ბ) კულტურულ-განმანათლებელისაგან.

10. ადმინისტრატიულ-სამეურნეო განყოფილება:

ა) განაგებს გლეხის ცენტრალურ სახლის ყველა საწარმოთა (საერთო საცხოვრებელი, აბანო, სამრეცხველო და სხვ.) ექსპლოატაციის საქმეს და გამოიყენებს ამ საწარმოთ გლეხთათვის სამეურნეო დახმარების აღმოჩენის მიზნით;

ბ) მოაწყობს ჩამოსულ გლეხთა გამოკვების საქმეს;

გ) დახმარებას გაუწევს გლეხობას სანიტარულ-საექიმო დარგში;

დ) განაგებს გლეხის ცენტრალურ

по представлению заведующего домом в пределах установленных штатов.

*Примечание.* Заведующий ЦДК может быть назначен и не из состава Совета.

7. Функции Совета и его Президиума, а также пределы их компетенции—определяются особой инструкцией, вырабатываемой Советом и утверждаемой ЦИК-ом Грузии. Совет вырабатывает и утверждает подробную инструкцию работы и внутреннего распорядка ЦДК.

8. В своей деятельности Совет при ЦДК отчитывается пред Центральным Исполнительным Комитетом Грузии, а в финансовых вопросах—в общеустановленном порядке.

9. ЦДК имеет два отдела: а) административно-хозяйственный и б) культурно-просветительный.

10. Административно-хозяйственный отдел—а) ведает эксплоатацией ЦДК (общежитие, баня, прачешная и т. п.), используя таковой в целях хозяйственного обслуживания крестьян, б) организует питание приезжающих крестьян, в) обслуживает крестьян в санитарно врачебном отношении, г) ведает хозяйственной эксплоатацией здания, принадлежащего ЦДК, д) содействует крестьянам в приобретении необходимых им товаров и сбыте сельско-хозяйственных продуктов через государственные, кооперативные и общественные организации, е) обслуживает ЦДК в организационно-административном, хозяйственном и финансовом отношениях и ж) составляет периодические годовые отчеты по ЦДК. В соответствии с этими задачами—административно-хозяйственный отдел ведает управлением общими делами, финансовым и хозяйственным вопросами Крестьянского Дома.

11. Культурно-просветительный отдел организует для крестьян лекции, доклады и беседы по сельско-хозяйственным, политическим, экономическим, антирелигиозным, юридическим и проч. вопросам, организует спектакли, кино-сеансы, выставки, музей, библиотеку, сельско-хозяйственные кружки, экскурсии в музеи, заводы, фабрики и проч. и руководит ими, а

სახლის კუთვნილ შენობის სამეურნეო ექსპლოატაციას;

ე) დახმარებას გაუწევს გლეხობას, რათა მან შეიძინოს საჭირო საქონელი და გაასაღოს სოფლის მეურნეობის პროდუქტები სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერატიული საზოგადოების მეშვეობით;

ვ) სამსახურს გაუწევს გლეხის ცენტრალურ სახლს ორგანიზაციულ-ადმინისტრატიულ, სამეურნეო და ფინანსიურ სფეროში და

ზ) შეადგენს პერიოდიულ წლიურ ანგარიშებს გლეხის ცენტრალურ სახლის მოქმედების შესახებ. ამისდა მიხედვით ადმინისტრატიულ-სამეურნეო განყოფილება განაგებს გლეხის ცენტრალურ სახლის საერთო საქმეთა მმართველობას, ფინანსიურ და სამეურნეო საკითხებს.

11. კულტურულ - განმანათლებელი განყოფილება მოაწყობს გლეხთათვის ლექციებს, მოხსენებებს და საუბრებს სოფლის მეურნეობის, პოლიტიკური, ეკონომიური, ანტირელიგიური, იურიდიული და სხვა საკითხების შესახებ; მოაწყობს წარმოდგენებს, კინო სეანსებს, გამოფენას, მუზეუმს, ბიბლიოთეკას, სასოფლო-სამეურნეო წრეებს, ექსკურსიებს, მუზეუმებს ქარხნებსა, ფაბრიკებში და სხვ. და ხელმძღვანელობას გაუწევს ყოველივე ამას; დაამყარებს საურთიერთო იდეურ და ინფორმაციულ კავშირს საქართველოს რესპუბლიკის გლეხის ცენტრალურ სახლსა, მოკავშირე რესპუბლიკების გლეხის ცენტრალურ სახლებსა და ადგილობრივ (სამაზრო) გლეხის სახლებს შორის და გაეცნობა ამ უკანასკნელთა გამოცდილებას. გარდა ამისა, აღნიშნული განყოფილება ასრულებს აგრეთვე გლეხთათვის აგრონომიული და იურიდიული დახმარების აღმოჩენის ფუნქციებს; ამ მიზნით განყოფილებასთან მოეწყობა განსაკუთრებული ბიურო, რომელიც ტფილისში ჩამოსულ სოფლის საზოგადოებათა რწმუნებულებს და ცალკე გლეხებს მისცემს ხოლმე სიტყვიერ და წერილობით კონსულტაციებსა და ცნობებს სხვადასხვა უფლებრივი საკითხის შესახებ (კერძოდ, მიწად-მოქმედებისა, მიწათ - სარგებლობისა, გადასახადებისა, დაზღვევისა და სხვა საკითხების შესახებ). ასეთსავე მუშაობას გასწევს ბიურო ადგილებიდან მიღებული შეკითხვების გამო, რისთვი-

также поддерживает взаимную, идейную и информационную связь между ЦДК Республики Грузии, ЦДК Союзных Республик и местными (уездными) ДК, изучает опыт после них. Кроме того, названный отдел должен обнимать собой и функции по оказанию крестьянам агрономической и справочно-юридической помощи. В этих целях при отделе учреждается особое бюро, которое дает устные и письменные консультации и справки прибывающим в Тифлис уполномоченным от общества и отдельным крестьянам по различным правовым вопросам (в частности по вопросам—землеустройства, землепользования, налоговым, страховым и прочим). Такого-же рода работу бюро проводит по вопросам с мест в виде письменных ответов, в особых же случаях принимает на себя ведение дел в соответствующих советских организациях и учреждениях г. Тифлиса через своих консультантов.

12. ЦДК финансируется в общебюджетном порядке, по смете, выработанной Советом, кроме того получает средства из следующих источников: а) от эксплоатации здания (арендные доходы, плата за общежитие и пр.), б) субсидии с соответствующих ведомств и в) иные поступления.

13. Центральный Крестьянский Дом пользуется всеми правами юридического лица.

14. ЦДК является государственным учреждением и имеет свою печать.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *М. Цхакая.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. апреля 4.
Тифлис—Дворец.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც მისცემს ხოლმე შემკითხველს წერილობით პასუხს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში იკისრებს აწარმოოს საქმე ქალაქ ტფილისის საბჭოთა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში თავისი კონსულტანტების მეშვეობით.

12. გლეხის ცენტრალურ სახლს ფინანსიური სახსარი ეძლევა საერთო საბიუჯეტო წესით საბჭოს მიერ შემუშავებული ხარჯთაღრიცხვისამებრ; გარდა ამისა სახლის სახსარს შეადგენს ა) შენობის ექსპლოატაციის თანხები (საიჯარო შემოსავალი, სასყიდელი საერთო საცხოვრებლისათვის და სხვ.), ბ) ის თანხები, რასაც სუბსიდიის სახით გადასდებენ სათანადო უწყებანი და გ) სხვა შემოსავალი.

13. გლეხის ცენტრალურ სახლს აქვს იურიდიული პირის ყველა უფლება.

14. გლეხის ცენტრალური სახლი არის სახელმწიფო დაწესებულება და აქვს თავისი ბეჭედი.

სრულიად საქ. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებული კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქ. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებული კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. აპრილის 4.
ტფილისი—სასახლე.

## 29. დადგენილება № 17

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა**

**მიწის კოდექსის 19, 67, 96 და 161 მუხლების შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწის კოდექსის მე-19, 67, 96 და 161 მუხლებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. მე-19 მუხლის შენიშვნა,—სადაც ნათქვამია: „განსაკუთრებულ შემთხვევებში მაზრის საადგილ-მამულო ორგანოებს უფლება ეძლევათ არ მისცენ მიწის არჩევის ნება ამა თუ იმ პირს“,—გაუქმებულ იქნეს.

2. 67 მუხლის რედაქცია შეიცვალოს

## 29. Постановление № 17

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об изменении ст. ст. 19, 67, 96 и 161 Земельного Кодекса.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет: в ст. ст. 19, 67, 96 и 161 Земельного Кодекса внести следующие изменения:

1. Отменить примечание к 19 ст., где сказано: „в исключительных случаях уездные земельные органы могут не давать тому или иному лицу права выбора земли“.

2. Редакцию 67 ст. изменить следующим образом: „оставляется половина земельной нормы: а) рабочим физического труда, занятым произво-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემდეგნაირად: „დაეტოვებათ ნახევარი მიწის ნორმა: ა) ფიზიკური შრომის მუშებს, რომლებიც ეწევიან წარმოებით შრომას სახელმწიფო და კერძო საწარმოში და დაწესებულებაში, ბ) სოფლის მასწავლებლებს, გ) მაზრისა და რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის და სასოფლო საბჭოების თანამშრომელთ, და აგრანომებს და ვეტერინარებს, როცა მათ (ამ მუხლში მოხსენებულთ) კავშირი არა აქვთ გაწყვეტილი თავიანთ სასოფლო მეურნეობასთან, და როცა ამა მუხლის „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებში მოხსენებულნი მსახურობენ იმ მაზრაში, სადაც აქვთ საკუთარი მეურნეობა.

3· 96 მუხლის მესამე შენიშვნა,—სადაც ნათქვამია: „ქალაქის საბჭოებს და აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ეძლევათ ეს ნორმა განსაკუთრებულ შემთხვევაში გაადიდონ, შეამცირონ ან სრულიად გააუქმონ„,—გაუქმებულ იქნეს.

4. 161 მუხლის შენიშვნის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად: „საქმე კოლეგიაში და საბჭოში გაირჩევა მხარეთა დაბარებით და მოსმენით, თუ კი ისინი გამოცხადდებიან“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. აპრილის 15.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-109 №-ში 1925 წ. მაისის 15.

дительным трудом в государственных и частных предприятиях и учреждениях, б) сельским учителям, в) сотрудникам уездных и районных Исполнительных Комитетов и Сельских Советов и г) агрономам и ветеринарам, когда они (перечисленные в этой статье) не порвали связи со своим сельским хозяйством и если упомянутые в пунктах „б“, „в“ и „г“ настоящей статьи служат в тех уездах, где они имеют собственное хозяйство.

3. Отменить третье примечание к ст. 96, где сказано: „городские советы и исполнительные комитеты имеют право в исключительных случаях эту норму увеличить, уменьшить или вовсе упразднить“.

4. Редакцию примечания к 161 ст. изменить следующим образом: „в Коллегии и Совете дело рассматривается с вызовом и выслушанием сторон, если они заявятся“.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. апреля 15
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист“ № 109 от 15 мая 1925 г.

## 30. დადგენილება № 18

**სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**მიწების ჩამორთმევის წესის შესახებ.**

რადგანაც ამ ბოლო დროს შემჩნეულია ადგილობრივ ორგანოების და ორგანიზაციების მიერ უკანონოდ მიწის ჩამორთმევა, რაც ძირს უთხრის მთავრობის პოლიტიკას მიწის საკითხში, უკარგავს გლეხს რწმენას, რომ მისი მიწის სარგებლობა მკვიდრ ნიადაგზეა აგებული, და ხელს უშლის სასოფლო მეურნეობის აღდგენის საქმეს,—სრულიად სა-

## 30. Постановление № 18

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О порядке отобрания земель.**

В виду замеченного в последнее время незаконного отобрания земель местными органами и организациями, что в корне подрывает земельную политику Правительства, ослабляет уверенность крестьян в прочности их землепользования и препятствует восстановлению сельского хозяйства, Всегрузинский Центральный Испол-

ქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მიწის ჩამორთმევა საერთო წესით შეიძლება მხოლოდ მიწის კოდექსში გარკვეულად გათვალისწინებულ შემთხვევაში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის იმ ორგანოს მიერ, რომელსაც ეგ დაკისრებული აქვს, ანდა სათანადო სასამართლო დაწესებულების დადგენილებით (13, 14, 15, 18, 25, 27, 65, 67, 78, 83, 154-ს შენიშვნა და 161 მუხ.).

2. ამ საერთო წესის გარეშე იმ ზედმეტი მიწის ჩამორთმევა, რაც ნორმას აღემატება, ყოველ ცალკე შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ სამაზრო საადგილმამულო კოლეგიის ინიციატივაზე დამყარებულ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილმამულო საბჭოს დადგენილებით, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ.

3. ის პირი, რომელიც მიწას ჩამოართმევს ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესის დარღვევით, პასუხისგებაში იქნება მიცემული სისხლის სამ. კოდექსის 109 მუხლისამებრ, როგორც ხელისუფლების გადამეტებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. აპრილის 15.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-94 №-ში 1925 წ. აპრილის 26.

нительный Комитет Советов постановляет:

1. Согласно общего порядка земля отбирается только в случаях, точно установленных Земельным Кодексом, призванными на то оргамами Народного Комиссариата Земледелия или по постановлению подлежащего судебного учреждения (ст. ст. 13, 14, 15, 18, 25, 27, 65, 67, 78, 83, примеч. к 154, 161).

2. Вне этого общего порядка, излишек земли сверх нормы в каждом отдельном случае может быть отобран по инициативе Уездной Земельной Коллегии, не иначе, как согласно постановлению Земельного Совета Народного Комиссариата Замледелия, утвержденному Президиумом Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов.

3. Лица, виновные в отобрании земли с нарушением порядка установленного настоящим постановлением, подлежат уголовной ответственности по 109 ст. Уголовного Кодекса, как за превышение власти.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. апреля 15

Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 94 от 26 апреля 1925 г.

## 31. დადგენილება № 19

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**ცენტრალური კომისიის დარსების შესახებ იმ პირთათვის პენსიის დასანიშნავად, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით სახელმწიფოს წინაშე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა

## 31. Постановление № 19

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об организации Центральной Комиссии по назначению пенсий лицам, оказавшим особые заслуги перед Государством.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

1. Организовать при Всегрузинском Центральном Исполнительном Комитете Центральную Комиссию по назначению усиленных пенсий лицам,

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდეს ცენტრალური კომისია იმ პირთათვის გაძლიერებული პენსიის დასანიშნავად, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის სახელმწიფოს წინაშე და რომელთაც შრომის უნარი დაუკარგავთ.

2. კომისია შესდგება: სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა, ა|კ. ფინანსთა სახ. კომისრის რწმუნებულისა, განათლების სახ. კომისარიატისა, შრომის სახ. კომისარიატისა და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენლებისაგან.

3. კომისიის თავმჯდომარეობა დაეკისრება სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის წარმომადგენელს.

4. კომისიის ყველა დადგენილებას დაამტკიცებს სრულიად საქ. საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

5. კომისიის ტეხნიკური მუშაობა მთლად დაეკისრება სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატს.

6. გაუქმებულ იქნეს ყველა ანალოგიური კომისია, რომელიც ამა თუ იმ უწყებასთან არსებობს პენსიის დანიშვნისათვის, გარდა განათლების სახ. კომისარიატის კომისიისა.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. აპრილის 15.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-130 №-ში 1925 წ. ივნისის 10.

имеющим особые заслуги перед государством, в случае утраты ими трудоспособности.

2. Комиссию образовать из представителей: Наркомсобеса, Уползакнаркомфина, Наркомпроса, Наркомтруда и Совпрофа.

3. Председательствование в Комиссии возложить на Представителя Наркомсобеса.

4. Постановления Комиссии подлежат утверждению Президиума ВЦИК-а.

5. Всю техническую работу Комиссии возложить на Народный Комиссариат Социального Обеспечения.

6. Упразднить все аналогичные Комиссии по назначению пенсий, существующие при разных ведомствах, за исключением Народного Комиссариата Просвещения.

7. Постановление это вступает в силу со дня опубликования.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. апреля 15.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист“ № 130 от 10 июня 1925 г.

## 32. დადგენილება № 20

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ამგები კომეტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დარ-

## 32. Постановление № 20

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об утверждении положения о Комитете по сооружению Земо-Авчальской Гидро-Электрической Станци.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Утвердить прилагаемое к настоя-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თული ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ამგები კომიტეტის დებულება.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. აპრილის 15.
ტფილისი—სასახლე.

## დებულება

**ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ამგები კომიტეტის შესახებ.**

1. ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ასაგებად დაარსდება ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აგების კომიტეტი, რომელსაც შემოკლებით ეწოდება „ზაჰესკომი“ და რომელიც მოქმედობს თანახმად ამ დებულებისა.

2. კომიტეტი ითვლება უფლებამოსილ და პასუხისმგებელ ორგანოდ, რომელიც განაგებს მთლად ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აგების საქმეს.

3. თავის მუშაობას კომიტეტი განახორციელებს სამუშაოთა სამმართველოს მეშვეობით, რომლის სათავეშიაც სდგას სამუშაოთა უფროსი.

4. სამუშაოთა სამმართველო განაგებს ჰიდრო-ელსადგურის აგების ადმინისტრატიულ, ტეხნიკურ, საანგარიშო- საფინანსო და სამასალო ნაწილებს.

5. კომიტეტს, როგორც დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს, შეუძლიან შეიძინოს ზაჰესკომის საქმისათვის საჭირო ქონება, იკისროს ვალდებულება და ისარჩლოს და პასუხი აგოს სასამართლოში სახელმწიფო ორგანოთათვის დადგენილი საერთო წესით.

6. კომიტეტს დაეკისრება:

ა) შეადგინოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის საერთო საამშენებლო ხარჯთაღრიცხვა.

ბ) მოაწყოს და განაგოს სამუშაოთა სამმართველოს მეშვეობით ყოველგვარი დამხმარე ტეხნიკურ-სამეურნეო ხასიათის საწარმო.

გ) დაამზადოს და შეიძინოს სამუშაოთა სამმართველოს მეშვეობით ელექ-

щему постановлению положение о Комитете по сооружению Земо-Авчальской Гидро-Электрической Станции.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. апреля 15.
Тифлис—Дворец.

## ПОЛОЖЕНИЕ

**о Комитете по сооружению Земо-Авчальской Гидро-Электрической Станции.**

1. Для сооружения Земо-Авчальской Гидро-Электрической Станции учреждается Комитет по сооружению Земо - Авчальской Гидро - Электрической Станции, сокращенно именуемый КОМЗАГЕСОМ, действующий согласно настоящего Положения.

2. Комитет является полномочным и ответственным органом, ведающим в целом сооружением Земо-Авчальской Гидро-Электрической Станции.

3. Свою работу Комитет осуществляет через Управление Работ, во главе которого стоит Начальник Работ.

4. Управление Работ ведает администрацией, технической, счетно-финансовой и материальной частями по сооружению станции.

5. Комитет, являясь самостоятельной хозяйственной единицей, может приобретать имущества, необходимые для целей Комзагеса, вступать в обязательства, искать и отвечать на суде на общих основаниях, установленных для госорганов.

6. На Комитет возлагается:

а) составление и представление на утверждение Президиума Тифисполкома общей строительной сметы на сооружение Земо-Авчальской Гидро-Электрической Станции;

б) организация и заведывание через Управление Работ всякого рода подсобными предприятиями технико-хозяйственного характера;

ტრონის სადგურისათვის საჭირო მასალა, იარაღი, სათბობი და სხვ.

დ) შეადგინოს საერთო გეგმა სამუშაოს წარმოების საქმისათვის ფინანსიურად ხელის შეწყობისა და იზრუნოს, რათა სამუშაოთა სამმართველოს მიეცეს ხოლმე ფინანსიური სახსარი დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგალში.

ე) დასდოს კოლექტიური ხელშეკრულება კომიტეტისა და სამუშაოთა სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებთან.

ვ) შეადგინოს ანგარიში და ბალანსი და წარუდგინოს იგი ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

7. მე-5 მუხლის თანახმად დაკისრებულ მოვალეობათა განსახორციელებლად ზაჰესკომს უფლება ეძლევა:

ა) მიიღოს და გადასცეს სამუშაოთა სამმართველოს და ხარჯოს სახარჯთაღრიცხვის თანხები.

ბ) გახსნას კრედიტი საკრედიტო და სხვა დაწესებულებაში.

გ) შეიმუშაოს და დაამზადოს სამუშაოთა სამმართველოს მეშვეობით სადგურის ასაგებად საჭირო მასალა და სხვ.

დ) მოაწყოს და იჯარით აიღოს სამუშაოთა სამმართველოს განკარგულებით ყოველგვარი დამხმარე საწარმო, რომლის მიზანი იქნება მომსახურეობით ხელი შეუწყოს სადგურის აგების საქმეს.

ე) გაანაღდოს კომიტეტის კუთვნილი უვარგისი ან სამუშაოს საწარმოებლად გამოუსადეგარი ქონება გაყიდვით ან საქონელზე გადაცვლით.

ვ) დააზღვეოს სადგურის სააღმშენებლო ქონება.

ზ) დანიშნოს და დაითხოვოს კომიტეტისა და სამუშაოს სამმართველოს მოსამსახურენი; ამასთანავე სამუშაოთა სამმართველოს მოსამსახურეთ დანიშნავს და დაითხოვს სამუშაოთა უფროსის მეშვეობით.

თ) განსაზღვროს ჯამაგირისა, დახმარებისა, ჯილდოსი და სხვ. რაოდენობა.

8. ზაჰესკომის კუთვნილი ყველა ქონება, რაც შეძენილია ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ასაგებად არის სამუშაოთა სამმართველოს გამგებლობაში.

9. კომიტეტის სახსარს შეადგენს:

ა) ანარიცხი, რასაც ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი გადასდებს თავისი ბიუჯეტიდან.

ბ) სპეციალური გადასახადი და ანა-

в) заготовка и приобретение через Управление Работ необходимых для нужд Электрической Станции материалов, инструментов, топлива и пр.;

г) составление общих планов финансирования работ и попечение о снабжении управления работ финансовыми средствами в пределах утвержденной сметы;

д) заключение коллективных договоров со служащими и рабочими Комитета и Управления Работ;

е) составление отчетов и балансов и представление их в Президиум Тифисполкома.

7. В целях осуществления возложенных, согласно ст. 5 на Комзагес обязанностей, ему предоставляются следующие права:

а) получать, передавать Управлению Работ и расходовать сметные суммы;

б) кредитоваться в кредитных и др. учреждениях;

в) производить через Управление Работ разработку и заготовку для нужд сооружения станции материалов и пр.;

г) распоряжением Управления Работ организовать и арендовать всякого рода подсобные предприятия, имеющие целью обслуживание нужд сооружения;

д) реализовать путем продажи или товарообмена негодное или ненужное для производства работ имущество, принадлежащее Комитету;

е) страховать имущество, относящееся к сооружению станции;

ж) назначать и увольнять служащих Комитета и Управления Работ, причем последних через Начальника Работ;

з) определять размер содержания, пособий и наградных и пр.

8. Все имущество, приобретенное для постройки Земо-Авчальской Гидро-Электрической Станции и принадлежащее Комзагесу находится в заведывании Управления Работ.

9. Средства Комитета составляются из:

а) отчислений, производимых Тифисполкомом по своему бюджету;

б) специальных налогов и отчисле-

რიცხი, რაც დაწესებული იქნება ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ასაგებად.

გ) სხვა თანხები, რასაც კომიტეტი მიიღებს სესხით, მიზნობრივი ანარიცხით და სხვ.

10. კომიტეტის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და კომიტეტის წევრებს, აირჩევს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი. ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სამუშაოთა უფროსს და მის თანაშემწეს დანიშნავს კომიტეტი ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დასტურით.

11. სამუშაოთა უფროსს დაეკისრება უშუალოდ თავისი პასუხისმგებლობით გაუწიოს ხელმძღვანელობა მუშაობის წარმოებას, განაგოს სამუშაოთა სამმართველო და თვალყური ადევნოს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებათა, საერთო ტეხნიკურ ნორმათა და აგრეთვე მთავრობის ყველა იმ განკარგულებათა ასრულებას, რაც შეეხება, როგორც კერძოდ ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აგებისა, ისე საერთოდ ჰიდრო-ტეხნიკური აღმშენებლობის საქმეს.

**შენიშვნა.** ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სამუშაოთა უფროსის უფლება-მოვალეობა და პასუხისმგებლობა განისაზღვრება ზაჰესკომისა და ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული ინსტრუქციით.

12. კომიტეტის წევრთა რიცხვს განსაზღვრავს თავისი შეხედულებისამებრ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

13. კომიტეტის მიერ გადასაწყვეტი ყველა საქმე და საკითხი განიხილება კომიტეტის სხდომაზე. კომიტეტის სხდომას დანიშნავს თავმჯდომარე საჭიროებისდაგვარად, ხოლო ერთხელ მაინც თვეში. კომიტეტის სხდომა შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრება კომიტეტის შედგენილობის ნახევარი მაინც, მათ შორის თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

14. კომიტეტის ყოველი წევრი შეასრულებს განსაზღვრულ მოვალეობას, თანახმად კომიტეტის მიერ დაწესებული განაწილებისა.

15. კომიტეტის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმის უმეტესობით.

ний, устанавливаемых для сооружения Земо-Авчальской Гидро-Электрической Станции;

в) прочих, получаемых Комитетом путем займов, ссуд, целевых отчислений и т. д. сумм.

10 Председатель Комитета, его заместитель и члены Комитета избираются Тифисполкомом.

Начальник Работ по сооружению Земо-Авчальской Гидро-Электрической Станции и его помощник назначаются Комитетом с утверждения Президиума Тифисполкома.

11. На Начальника Работ возлагается непосредственное ответственное руководство производством работ, заведывание Управлением Работ и наблюдение за исполнением распоряжений Тифисполкома и общих технических норм, а также всех вообще правительственных распоряжений, относящихся как, в частности, к сооружению Земо-Авчальской Гидро-Электрической Станции, так, в общем, относящихся к гидро-техническому строительству.

*Примечание*. Права, обязанности и ответственность Начальника Работ по сооружению Земо-Авчальской Гидро-Электрической Станции регулируется особой инструкцией, утвержденной Комзагесом и Президиумом Тифисполкома.

12. Число членов Комитета определяется Президиумом Тифисполома по его усмотрению.

13. Подлежащие разрешению Комитета дела и вопросы рассматриваются в заседании Комитета. Заседание Комитета назначаются его Председателем по мере надобности, но не реже одного раза в месяц, и считаются состоявшимися при наличии не менее половины всего состава Комитета, в том числе Председателя и его заместителя.

14. Члены Комитета несут определенные обязанности, согласно устанавливаемого Комитетом распределения.

15. Решения Комитета постановляются большинством голосов присутствующих. В случае равенства го-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ ხმები შუაზე გაიყო—თავმჯდომარის ხმა გადასძლევს. უკეთუ სამუშაოთა უფროსი არ დაეთანხმება კომიტეტის ისეთ დადგენილებას, რაც უშუალოდ მუშაობის წარმოებასა და მის მიზანშეწონილობას და უშიშროებას შეეხება,—მას უფლება ეძლევა სამი დღის განმავლობაში წარუდგინოს თავისი მოსაზრება ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

კომიტეტის ერთი სხდომიდან მეორე სხდომამდე იმ საკითხს, რაც კომიტეტის გამგებლობის ფარგალში შედის, გადასწყვეტს პირადად თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, და ამის შესახებ შემდგომ კომიტეტს მოახსენებს.

16. კომიტეტის დადგენილება აღსრულებაში მოიყვანება კომიტეტის თავმჯდომარის განკარგულებით; იმ შემთხვევაში, როდესაც თავმჯდომარე არ ეთანხმება უმრავლესობის აზრს, მას უფლება აქვს შეაჩეროს კომიტეტის დადგენილების სისრულეში მიყვანა და სამი დღის განმავლობაში საკითხი წარუდგინოს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს საბოლოო გადაწყვეტისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე არ გადაიდება—კომიტეტის თავმჯდომარე არ მოუცდის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საკითხის საბოლოო გადაწყვეტას და მოიქცევა თავისი შეხედულებისამებრ პირადი პასუხისმგებლობით, რასაც აცნობებს ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს.

17. კომიტეტსა ჰყავს მდივანი და საფინანსო განყოფილების გამგე, მოსამსახურეთა საჭირო შტატით, რომელსაც კომიტეტი განსაზღვრავს.

18. სამუშაოთა უფროსის და მისი თანაშემწის გასამრჯელოს რაოდენობას განსაზღვრავს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი; მასვე ეძლევა უფლება განსაზღვროს ხოლმე კომიტეტის თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და ყველა ან ზოგიერთ წევრის გასამჯელო იმისდა მიხედვით, თუ რა ფუნქციები აქვთ მათ დაკისრებული.

19. კომიტეტის მოქმედებას მოაწესრიგებს და მეთვალყურეობას გაუწევს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც იგი უშუალოდ ემორჩილება.

20. კომიტეტს უფლება ეძლევა წარუდგინოს ხოლმე ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს თავისი საპასუხო მოსაზრება

лосов, голос Председателя дает перевес. В случае несогласия Начальника Работ с постановлением Комитета, касающимся непосредственно производства работ, их целесообразности и безопасности, последнему представляется право в трехдневный срок представить свое мнение Президиуму Тифисполкома.

В промежуток между заседаниями Комитета решения по вопросам, входящим в ведение Комитета, принимаются лично Председателем Комитета или его заместителем, с последующим докладом о том Комитету.

16. Постановления Комитета приводятся в исполнение распоряжением его Председателя, причем в случае несогласия последнего с мнением большинства, ему предоставляется право задержать исполнение постановления Комитета и представить вопрос в трехдневный срок на окончательное разрешение в Президиум Тифисполкома. В неотложных случаях Председатель Комитета, не ожидая окончательного разрешения вопроса Тифисполкомом, поступает по собственному усмотрению за своей единоличной ответственностью, доводя о том одновременно до сведения Тифисполкома.

17. При Комитете состоит Секретарь и Заведывающий Финансовым Отделом, имеющие необходимый штат служащих по определению Комитета.

18. Размер вознаграждения Начальника Работ и его помощника устанавливается Президиумом Тифисполкома; ему-же предоставляется право устанавливать размер и порядок вознаграждения Председателя Комитета, его заместителя и членов Комитета, всем или некоторым из них, в зависимости от возложенных на них функций.

19. Деятельность Комитета регулируется и контролируется Тифисполкомом, которому он непосредственно подчинен.

20. Комитету предоставляется право, не задерживая исполнения распоряжения Тифисполкома, представлять ему свои возражения по таковым.

მისი განკარგულების გამო, ხოლო თვით განკარგულების ასრულებას ვერ შეაჩერებს.

21. თავისი მოქმედებისათვის კომიტეტი იხელმძღვანელებს ამა დებულებას და ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოცემულ ინსტრუქციას, წესებსა და განკარგულებას.

22. კომიტეტს აქვს ბეჭედი შემდეგი წარწერით: „ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ამგები კომიტეტი“.

23. კომიტეტი, მთლად თავისი შედგენილობით, აგრეთვე ყოველი მისი წევრი ცალ-ცალკე პასუხისმგებელია საქმის გამგებლობისათვის არა მარტო ადმინისტრატიულად, არამედ საერთო სასამართლოს წესითაც.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. აპრილის 15.
ტფილისი—სასახლე.

21. В своей деятельности Комитет руководствуется настоящим Положением и издаваемым Тифисполкомом инструкциями, правилами и распоряжениями.

22. Комитет имеет печать с надписью: „Комитет по сооружению Земо-Авчальской Гидро-Электрической Станции“.

23. Комитет в целом, а также члены его в отдельности, несут ответственность за ведение дела не только в административном, но и в общем судебном порядке.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. апреля 15.
Тифлис—Дворец.

## 33. დადგენილება № 21

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**განსაკუთრებულ შემთხვევაში მოკლევადიანი შვებულების მიცემის შესახებ იმ მსჯავრდადებულთათვის, რომელნიც სასჯელს გამასწორებელ სახლში იხდიან, ხოლო მათ შორის იმათთვის, ვინც მუშაობას ეწევა, 24-საათიანი შვებულების მიცემის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

საპატიმრო ადგილთა დებულების 206 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნა:

„საპატიმრო ადგილთა განყოფილებას შეუძლიან, განსაკუთრებულ შემთხვევაში (როგორც, მაგ., ოჯახის წევრის სიკვდილი, ავადმყოფობა და სხვ.), მისცეს იმ პატიმარს, ვინც სასჯელს იხდის (გარდა პოლიტიკურ საქმისათვის და სასტიკი იზოლაციით დაპატიმრე-

## 33. Постановление № 21

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О предоставлении отбывающим наказание в Исправдомах в исключительных случаях краткосрочных отпусков, а также 24-часовых отпусков тем из них, которые заняты работой.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Ст. 206 Положения о местах заключения дополнить следующим примечанием:

„Разрешить Отделу Мест заключения в исключительных случаях (как-то: смерть, болезнь членов семьи и т. п.), при условии последующего сообщения об этом Распределительной Комиссии, предоставлять отбывающим наказание заключенным (за исключением политических и содержащихся со строгой изоляцией) краткосрочные

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულისა) მოკლევადიანი შვებულება არა უმეტეს სამი დღისა წასვლა-მოსვლისათვის საგზაო დროის ზედდართვით, იმ პირობით კი, რომ ეს შემდეგ ეცნობოს განმანაწილებელ კომისიას, ხოლო იმ პატიმარს, ვინც სამუშაოს ეწევა, მისცეს შაბათობით, უქმე და არა სამუშაო დღეში 24 საათის შვებულება“.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. მაისის 1.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-104 №-ში 1925 წ. მაისის 9.

отпуска не свыше 3 дней с поверстными, а равно предоставлять по субботам, праздничным и нерабочим дням—24-часовые отпуска тем из отбывающих наказание, которые заняты работой.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. мая 1.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист“ № 104 от 9 мая 1925 г.

## 34. დადგენილება № 22

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**საკურორტო მიწის ფონდიდან მიწის ნაკვეთების სააღნაგო უფლების საფუძველზე გაცემის შესახებ.**

სამკურნალო ადგილებში (კურორტებში) თავისუფალ მიწის ნაკვეთებზე სააგარაკო ხასიათის შენობების აგებისათვის ხელის შეწყობისა და, კერძოდ, კურორტებზე საბინაო კრიზისის შესუსტების მიზნით, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოს გასცეს ხოლმე სააღნაგო უფლების საფუძველზე საკურორტო მიწები, რაც მის განკარგულებაშია (საქ. სოც. საბჭ. რესპ. ც. ა. კ.-ის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ს. კ. ს. 1923 წლ. თებერვლის 3-ის დეკრეტი და 29 №-ის დადგენილება) სამოქალაქო სამართლის კოდექსის 71—84 მუხლში გათვალისწინებულ წესისამებრ.

## 34. Постановление № 22

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О сдаче на праве застройки участков из фонда курортных земель.**

В целях поощрения возведения в лечебных местностях (курортах) дачных построек на свободных земельных участках и в частности смягчения жилищного кризиса на курортах, Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

1. Предоставить Главному Курортному Управлению Народного Комиссариата Здравоохранения сдавать на праве застройки курортные земли находящиеся в его ведении (Декрет и Постановление № 29 ВЦИК-а и Совнаркома ССРГ 3 февраля 1923 года) в порядке, предусмотренном в ст. ст. 71—84 Гражданского Кодекса ССРГ.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. მაისის 1.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-105 №-ში 1925 წ. მაისის 10.

2. Настоящее Постановление вступает в силу со дня его опубликования.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. мая 1.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 105 от 10 мая 1925 г.

## 35. დადგენილება № 23

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 211 მუხ. მე-2 პუნქ. გათვალისწინებული წესიდან ზოგიერთი კატეგორიის პროტესტქმნილი თამასუქებისათვის გამონაკლისის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 211 მუხ. მე-2 პუნ. გათვალისწინებული წესის გამონაკლისად, სასამართლოს ბრძანების გაცემისათვის დადგენილი ვადა იმ თამასუქისათვის, რომლის პროტესტის მოხდენაც გადადებულ იქნა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების თანახმად, ითვლება არა გადახდის ვადის დადგომის დღიდან, არამედ თამასუქის პროტესტის მოხდენის დღიდან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. მაისის 1.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-134 №-ში 1925 წ. ივნისის 14.

## 35. Постановление № 23

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об из'ятии из п. 2 ст. 211 Гражданского Процессуального Кодекса для некоторой категории протестованных векселей.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

В из'ятие пункта 2 ст. 211 Гражданского Процессуального Кодекса в течение месячного срока на выдачу приказов по тем векселям, протест коих был отсрочен согласно Постановления ВЦИК-а, считать не со дня наступления срока платежа, а со дня учинения протеста этих векселей.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. мая 1.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист" № 134 от 14 июня 1925 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 36. დადგენილება № 24

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი**

**სისხლის სამართლის კოდექსის მე-$100^1$ და $145^1$ მუხლებით შევსების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს $100^1$ და $145^1$ მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„$100^1$ მუხლ. ზღვის სავაჭრო ნავჭურჭელზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ბაირაღის ამართვა, უკეთუ კანონით ამ ბაირაღის ამართვის უფლება მინიჭებული არ იქნება, დაისჯება

თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე და ნავჭურჭლის კონფისკაციით ან ჯარიმით არა უმეტეს მთლად ნავჭურჭლის ღირებულებისა ან უამისოდ.

$145^1$ მუხლ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ბაირაღით მცურავი საზღვაო სავაჭრო ნავჭურჭლის ყიდვა და გაყიდვა ხელისუფლებისაგან სათანადო ნებართვის მიუღებლად, რასაც კანონი მოითხოვს, დაისჯება

ჯარიმით ათას მანეთამდე.

უკეთუ ამ ქმედობით სახელმწიფოს მიეყენება მნიშვნელოვანი ზიანი, სასჯელი აიწევს

თავისუფლების აღკვეთამდე არა ნაკლებ ერთი წლისა ნავჭურჭლის კონფისკაციით ან ჯარიმით არა უმეტეს მთლად ნავჭურჭლის ღირებულებისა.“

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. მაისის 1.
ტფილისი—სასახლე.

## 36. Постановление № 24

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров С. С. Р. Грузии**

**О дополнении Уголовного Кодекса ст. ст. $100^1$ и $145^1$.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов и Совет Народных Комиссаров ССРГ постановляют:

Дополнить Уголовный Кодекс ССРГ ст. ст. $100^1$ и $145^1$ нижеследующего содержания:

Ст. $100^1$. Под'ем на морском торговом судне флага СССР без права на этот флаг по закону карается

лишением свободы до одного года с конфискацией судна или со штрафом в размере не свыше полной стоимости судна, или без таковых.

Ст. $145^1$. Покупка и продажа морского торгового судна, плавающего под флагом Союза ССР, без требуемого законом разрешения властей, карается

штрафом до тысячи рублей.

Если этим деянием причинен значительный вред Государству, наказание повышается

до лишения свободы свыше одного года. с конфискацией судна или со штрафом в размере не свыше полной стоимости судна.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Совета Народ. Комис. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. мая 1.
Тифлис—Дворец.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 37. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 25

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი**

**საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა სამმართველოს დაარსების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაარსებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა სამმართველო, ამასთანავე დართული დებულების თანახმად.

2. საქართველოს მელიორაციისა და წყალთა სამართველოს დაევალება მიიღოს: 1) საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატისაგან სამელიორაციო განყოფილების ყველა საქმე და ფულადი სახსარი, 2) ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსაგან საქართველოს წყალთა მეურნეობის ყველა საქმე და მასალა და აგრეთვე მთელი ქონება და ფულადი სახსარი, რაც გადადებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ფარგლებში მუშაობისათვის; ამიერ-კავკასიის წყალთა სამართველოსაგან საქმეები, ქონება და ფულადი სახსარი მიღებულ უნდა იქნეს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული განკარგულებით.

3. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის სამელიორაციო განყოფილება.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. მაისის 6.
ტფილისი—სასახლე.

## 37. Постановление № 25

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров Сов. Соц. Респ. Грузии**

**Об учреждении Управления Водного Хозяйства и меллиорации С.С.Р. Грузии (Грузводмельхоз-а).**

Центральный Исполнительный Комитет Советов и Совет Народных Комиссаров С.С.Р. Грузии настоящим постановляют:

1. Учредить при ЭКОСО С.С.Р. Грузии Управление Водного Хозяйства и меллиорации С.С.Р. Грузии, действующее на основании прилагаемого к настоящему Постановлению Положения.

2. Грузводмельхозу поручается принять 1) от НКЗ-ма С.С.Р.Г. все дела и денежные средства Меллиоративного Отдела НКЗ-ма и 2) от Закводхоза—все дела, имущество и денежные средства, кои предназначались на работы в пределах С.С.Р. Грузии. Дела, имущество и денежные средства от последнего должны быть приняты по особому распоряжению СНК ЗСФСР.

3. Упраздняется Меллиоративный Отдел НКЗ ССР Грузии.

4. Настоящее Постановление вступает в силу со дня его опубликования.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Сов. Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. мая 6.
Тифлис—Дворец.

### ПОЛОЖЕНИЕ

**Об Управлении Водного Хозяйства и Меллиорации ССРГ.**

1. В целях управления водным хозяйством и меллиоративными работами в ССР Грузии при ЭКОСО ССР

# დებულება

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოსათვის.**

1. წყალთა მეურნეობისა და სამელიორაციო მუშაობის მართვა-გამგებლობისათვის საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან არსდება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა სამმართველო.

2. მელიორაციისა და წყალთა სამმართველოს დაეკისრება:

ა) რესპუბლიკის წყალთა რესურსების შესწავლა;

ბ) გამოკვლევა არსებული სარწყავი არხებისა და წყლის სარგებლობის წესისა;

გ) რეგისტრაცია და მოწესრიგება წყლის სარგებლობისა;

დ) განაწილება თავისუფალი წყლისა;

ე) მეთვალყურეობა საირრიგაციო ქსელისა და ჰიდრო-ტეხნიკურ ნაგებობისათვის;

ვ) გაუმჯობესება საინჟენერო და ადგილობრივი სისტემის სარწყავი არხებისა;

ზ) წარმოება ყოველნაირი სამელიორაციო მუშაობისა;

თ) განხილვა წყალთა სამელიორაციო ამხანაგობათა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვებისა და მათ შესახებ დასკვნის მიცემა; ხსენებულ ამხანაგობათათვის ტეხნიკური დახმარების აღმოჩენა;

ი) მდინარეების ჰიდრავლურ ძალთა აღრიცხვა, ჰიდრო-ტეხნიკურ ნაგებობათა პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენა და საამისო სამუშაოს წარმოება;

კ) სხვა და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულების მიერ შედგენილ ჰიდრო-ტეხნიკურ ნაგებობათა პროექტების განხილვა წყლის რაციონალურ გამოყენებასთან შესათანხმებლად;

ლ) ფინანსიური და ტეხნიკური ინსტრუქტორობისა და კონტროლის გაწევა ყოველგვარ ჰიდრო-ტეხნიკურ და ჰიდრო-მელიორატიულ სამუშაოს შესრულებისათვის.

Грузии учреждается Управление Водного Хозяйства и меллиорации ССР Грузии (Грузводмельхоз).

2. На Грузводмельхоз возлагается:

а) изучение водных рессурсов Республики;

б) исследование существующих оросительных систем и порядка пользования водой;

в) регистрация и регулирования водопользования;

г) распределение свободной воды;

д) наблюдение над ирригационной сетью и гидро-техническими сооружеииями;

е) усовершенствование оросительных каналов инженерной и местных систем;

ж) производство всякого рода меллиоративных работ;

з) рассмотрение и дача заключений по проектам и сметам водных и меллиоративных товариществ и оказание технической помощи упомянутым товариществам;

и) учет гидравлических сил рек, составление проектов и смет гидротехнических сооружений и производство работ по ним;

к) рассмотрение составляемых различными учреждениями и организациями проектов гидро-технических сооружений на предмет согласования их с интересами рациенального водопользования;

л) технический и фанансовый инструктаж и контроль над выполнением различных гидротехнических и гидромеллиоративных работ.

3. Грузводмельхоз состоит из: а) Центрального Управления и б) водных округов, в число коих входят округи Абхазский, Аджаристана и Юго-Осетии.

4. Во главе Грузводмельхоза стоит Начальник, назначаемый СНК ССР Грузии.

5. Грузводмельхоз действует под общим наблюдением ЭКОСО ССР Грузии, которому в начале года представляет годичный план и смету работ, а в конце года—отчет о своей деятельности.

3. მელიორაციისა და წყალთა სამმართველო შესდგება ცენტრალურ სამმართველოსაგან და წყლის ოლქებისაგან; ოლქების რიცხვში შედის აფხაზეთი, აჭარა და სამხრეთ-ოსეთი.

4. მელიორაციისა და წყალთა სამმართველოს სათავეში სდგას საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნული უფროსი.

5. მელიორაციისა და წყალთა სამმართველო მოქმედებს საქართველოს ეკონომიური საბჭოს საერთო მეთვალყურეობით; წარუდგენს მას დასამტკიცებლად წლის დასაწყისში თავისი მუშაობის წლიურ გეგმას და ხარჯთაღრიცხვას, ხოლო წლის ბოლოს—ანგარიშს თავისი მოქმედებისას.

6. მელიორაციისა და წყალთა სამმართველოს სამოქმედო გეგმა უნდა შეთანხმებულ იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გეგმასთან წყალთა მეურნეობის და მელიორაციის სფეროში.

7. რათა თავიდან აცილებულ იქნეს საფრთხე საინფექციო სნეულებათა გავრცელებისა: მუცლის სახადისა, დეზინტერიისა, ხოლერისა და განსაკუთრებით მალარიისა, საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს სანიტარული ზედამხედველობა გაუწიოს საქართველოს მელიორაციისა და წყალთა სამმართველოს მუშაობას.

8. მელიორაციისა და წყალთა სამმართველოს აქვს საკუთარი ხარჯთაღრიცხვა და კრედიტები, რომლის გამგებლობაც ეკუთვნის სამმართველოს უფროსს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. მაისის 6.
ტფილისი—სასახლე.

6. План работ Грузводмельхоза должен быть согласован с планом НКЗ-ма по водному хозяйству и меллиорации Республики.

7. В целях предотвращения опасности инфекционных заболеваний, как-то брюшного тифа, дезинтерии, холеры и, особенно, малярии, Наркомздраву предоставляется право санитарного надзора над всеми работами Грузводмельхоза.

8. Грузводмельхоз имеет собственную смету и распологает собственными кредитами. Последние находятся в распоряжении Начальника Управления.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. мая 6.
Тифлис—Дворец.

## 38. დადგენილება № 26

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**ქუთაისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის სასარგებლოდ 1924-1925 წლისათვის სახელმწიფო სამონადირო გამოსაღებზე ზედნართის დაწესების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ქუთაისის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის საშუალებათა გასაძლიერებლად, ადგილობრივი ფინანსების დებულების 37 მუხლის თანახმად, დაწესებულ იქნეს ქუთაისის მაზრაში ზედნართი 1924/1925 წლისათვის სახელმწიფო სამონადირო გამოსაღებზე, ამ გამოსაღების 50% რაოდენობით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **ი. ვარძიელი.**

1925 წ. მაისის 25.
ტფილისი—სასახლე.

## 38. Постановление № 26

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об установлении в пользу Кутаисского Уездного Исполнительного Комитета надбавки к государственному охотничьему сбору на 1924—1925 г.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Согласно ст. 37 Положения о местных финансах, установить на усиление средств Кутаисского Уездного Исполнительного Комитета надбавку в размере 50% к Государственному охотничьему сбору на 1924—1925 г.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

За Секретаря Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Я. Вардзиели.*

1925 г. мая 25.
Тифлис—Дворец.

## 39. დადგენილება № 27

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა**

**იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რაც ძალასა ჰკარგავს მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათი ოჯახების შეღავათებისა და უპირატესობის შესახებ სსრკ ცაკის მიერ გამოცემულ კანონთა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების გამო.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათი ოჯახების შეღავათე-

## 39. Постановление № 27

**Президиума Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О законодательных актах, теряющих силу со введением в действие изданного ЦИК-ом СССР Кодекса Законов о льготах и преимуществах для военнослужащих Рабоче-Крестьянской Красной Армии и Рабоче-Крестьянского Красного Флота Союза СССР и их семей.**

Президиум Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов постановляет:

Со введением в действие Кодекса законов о льготах и преимуществах для военнослужащих Рабоче-Крестьянской Красной Армии и Рабоче-

ბისა ლა უპირატესობის შესახებ სსრკ ცაკის მიერ გამოცემულ კანონთა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების გამო ძალას ჰკარგავს შემდეგი საკანონმდებლო აქტი:

1. სრულიად საქართველოს ც. ა. კ. 1924 წ. ივნისის 28-ს დეკრეტი წითელ არმიელთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ.

2. სრულიად საქართველოს ც. ა. კ. 1924 წ. ივლისის 7 თარიღისა და 101 №-რის დადგენილება წითელარმიელთა და მათი ოჯახების უზრუნველყოფის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **ი. ვარძიელი.**

1925 წ. მაისის 25.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-142 №-ში 1925 წ. ივნისის 24.

Крестьянского Красного Флота Союза ССР и их семей признать утратившими силу нижеследующие законодательные акты:

1. Декрет ВЦИК Советов об обеспечении красноармейцев и их семейств от 28 июня 1923 года.

2. Постановление ВЦИК Советов за № 101 от 7 июля 1924 года об изменении 5 п. изданного 28 июня 1923 года декрета ВЦИК Советов об обеспечении красноармейцев и их семейств.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

За Секретаря Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Я. Вардзиели.*

1925 г. мая 25.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в гав. „Коммунист" № 142 от 24 июня 1925 г.

## 40. დადგენილება № 28

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**ყველა სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისათვის იმ მოვალეობის დაკისრების შესახებ, რომ გააცნონ მოსახლეობას ჯარში მორიგ გაწვევისათვის დაწესებული შეღავათები.**

რათა მოსახლეობის ფართო მასები გაეცნონ ჯარში მორიგი გაწვევის დროს ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის გამო დაწესებულ შეღავათებს, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაევალოს მაზრის (ქალაქის) და თემის აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს გააცნონ მოსახლეობას ჯარში მორიგი გაწვევისათვის დაწესებული შეღავათები და გააგებინონ, რომ ამ შეღავათების მისაღებად ყველა გასაწვევმა პირმა უნდა წარადგინოს სადაც ჯერ არს ცნობები თავისი ოჯა-

## 40. Постановление № 28

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О возложении на Уездные Исполкомы обязанности по оповещению населения о существующих льготах при очередных призывах в войска.**

В целях осведомления широких масс населения о льготах по семейному и имущественному положению при очередных призывах в войска, Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

1. Обязать Уездные (Городские) и Темские Исполкомы и Сельские Советы оповещать население о льготах, предоставляемых при очередных призывах в войска и о предоставлении подлежащими призыву лицами необходимых документов о семейном и имущественном их положении на предмет получения льгот.

2. Обязать Уездные (Городские) Ис-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

2. დაევალოს მაზრის აღმასრულებელ კომიტეტებს, მაზრის სამხედრო კომისარიატებთან შეთანხმებით, შეიმუშაონ და გამოსცენ სათანადო განცხადებანი და, თემის აღმასრულებელი კომიტეტისა და სასოფლო საბჭოების მეშვეობით, განუმარტონ ხოლმე მოსახლეობას სასოფლო ყრილობებზე წესები ჯარში გაწვეულთათვის ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით განსაზღვრული შეღავათებისა და ამ შეღავათების მიღების შესახებ.

3. დაევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიალურ სამმართველოს მისცენ ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტსა და მაზრის სამხედრო კომისარიატს სახელმძღვანელო განმარტებანი—ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. ივნისის 1.
ტფილისი—სასახლე.

полкомы по соглашению с уездными военными комиссариатами выработать и издать соответствующие об'явления и через Темские Исполкомы и Сельские Советы раз'яснить населению на сельских сходах существующие правила относительно льгот призываемым по семейному и имущественному положению, и о порядке получения льгот.

3. Для проведения в жизнь настоящего постановления Народному Комиссариату Внутренних Дел и Территориальному Управлению ССР Грузии дать соответствующие руководящие указания всем Уездным Исполнительным Комитетам и уездным военным комиссариатам.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. июня 1.
Тифлис—Дворец.

## 41. დადგენილება № 29

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული „გლეხის ცენტრალური სახლის“ მიერ გლეხთა საქმეების გამოაღძრულ შუამდგომლობათა პირველ რიგში განხილვის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაევალოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებას სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული „გლეხის ცენტრალური სახ-

## 41. Постановление № 29

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О рассмотрении в первую очередь ходатайств существующего при Всегрузинском Центральном Исполнительном Комитете Советов „Центрального Дома Крестьянина“ по делам крестьян.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Обязать все государственные и общественные учреждения ходатайства существующего при Всегрузинском Центральном Исполнительном Комитете Советов „Центрального Дома

ლის" მიერ გლეხთა საქმეების გამო აღძრული ყოველი შუამდგომლობა განიხილოს პირველ რიგში.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. ივნისის 1.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-138 №-ში 1925 წ. ივნისის 19.

Крестьянина" по делам крестьян рассматривать в первую очередь.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. июня 1.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 138 от 19 июня 1925 г.

---

## 42. დადგენილება № 30

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**სამოქალაქო სამართლის კოდექსის 101 და 185 მუხ. შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I.

1. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 101 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

„დაგირავებული ქონება, რომელიც მოვალეს ეკუთვნის, უპირატესად, მოგირავნის პრეტენზიების დაკმაყოფილებამდე, მოხმარდება ქვემო აღნიშნული გადასახდელის გასტუმრებას, უკეთუ მოვალის დანარჩენი ქონება საამისოდ საკმარისი არ იქნება: პირველ რიგში მოხმარდება იმ თანხის გასტუმრებას, რაც მოვალისაგან მუშა-მოსამსახურეთ ერგებათ სამუშაო ხელფასად, რაც გადასახდევინებელია სოციალური დაზღვევისათვის და სარჩოდ; მეორე რიგში—საერთო სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახად-გამოსაღების ნარჩენის გასტუმრებას; მესამე რიგში—სახელმწიფო ორგანოთა იმ პრეტენზიების დაკმაყოფილებას, რაც გამომდინარეობს სამუშაოს ნარდად გაცემისა და გაყიდვა-მიწოდების ხელშეკრულებიდან.

**შენიშვნა.** ყველა გადასახდელი, რაც ამა მუხლით ერთ და იმავე

## 42. Постановление № 30

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об изменении 101 и 185 ст. ст. Гражданского Кодекса.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

I.

1. Изложить ст. 101 Гражданского Кодекса следующим образом:

„Заложенное имущество, принадлежащее должнику, обращается, преимущественно перед претензией залогодержателя, на удовлетворение нижеследующих категорий взысканий, если прочего имущества должника недостаточно для покрытия этих взысканий: в первую очередь—на покрытие задолженности должника по заработной плате рабочим и служащим, по социальному страхованию и по алиментам; во вторую очередь—на покрытие недоимок по налогам и сборам как общегосударственным, так и местным; в третью очередь—на покрытие претензий государственных органов, вытекающих из договоров подряда и поставки.

*Примечание.* Взыскания, входящие в одну и ту же очередь из предусмотренных настоящей статьей, удовлетворяются, в слу-

რიგშია მოქცეული, უკეთუ მოვალის ქონება მათ ვერა ჰყოფნის, გასტუმრებულ უნდა იქნეს პროპორციონალურად".

II.

2. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 185 მუხ. რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

„შენობისა და ალნაგობის უფლების ნასყიდობა, ბათილობის რიდით, უნდა დაიდოს სანოტარო წესით და შემდეგ მას აუცილებლად რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს ოლქის სასამართლოს სანოტარო თანაგანყოფილებაში. ამ აქტების შინაარსი ოლქის სასამართლოს სანოტარო თანაგანყოფილებამ უნდა აცნობოს სათანადო კომუნალურ განყოფილებას".

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. ივნისის 1.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-140 №-ში 1925 წ. ივნისის 21.

чае недостаточности имущества должника для их полного удовлетворения, по соразмерности".

II.

2. Изложить ст. 185 Гражданского Кодекса в следующей редакции:

„Купля-продажа строений и права застройки должна, под страхом недействительности, быть совершена в нотариальном порядке с обязательной последующей регистрацией в Нотариальном Отделении Областного Суда. О существе означенных актов Нотариальное Отделение Областного Суда сообщает подлежащему Коммунальному Отделу".

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. июня 1.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист" № 140 от 21 июня 1925 г.

## 43. დადგენილება № 31

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი**

**სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისათვის $454^1$ მუხლის დამატების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღის და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატოს $454^1$ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„უკეთუ ამნისტიაში, რომელიც სრუ-

## 43. Постановление № 31

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров Соц. Советской Республики Грузии**

**О дополнении Уголовно-Процессуального Кодекса $454^1$ статьей.**

В порядке ст. 2 Постановления 2-й сессии 2-го созыва ВЦИК-а от 10 марта 1924 г. № 77 Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов и Совет Народных Комиссаров С.С.Р.Г. постановляют:

Включить в Уголовно-Процессуальный Кодекс ст. $454^1$—следующего содержания:

„Если в акте амнистии, освобождающем вполне или частично от главного наказания, не упомянуто об от-

ლიად ან ნაწილობრივ ანთავისუფლებს ბრალდებულს მთავარი სასჯელისაგან, არა იქნება რა ნათქვამი, რომ ისპობა უფლების შეზღუდვა, რაც სასამართლომ, როგორც დამატებითი სასჯელი, გადასწყვიტა (სისხლ. სამართლ. კოდექ. 43 მუხ.), აგრეთვე სოციალური დაცვის ღონისძიების სახით მიიღო (სისხლ. სამ. კოდ. 49 მუხ. „გ“ და „დ“ პ. პ.),—სასამართლომ ამნისტიის შეფარდებისათანავე უნდა გადასწყვიტოს, მოიხსნას ან შემცირდეს თუარა ეს უფლების შეზღუდვა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. ივნისის 1.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-141 №-ში 1925 წ. ივნისის 23.

мене поражения прав, наложенного судом в качестве дополнительного наказания (ст. 43 Угол. Код.) или, принятого тем же судом в качестве мер социальной защиты (п.п. „в“ и „г“ ст. 49 Угол. Код.), суд при применении амнистии обязан решить, подлежат-ли названные поражения прав снятию или сокращению“.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Зам. Председателя Совета Народных Народных Комиссаров С. С. Р. Грузии *С. Джугели.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. июня 1.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист“ № 141 от 23 июня 1925 г.

## 44. დადგენილება № 32

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266 მუხლის შეცვლის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 266 მუხლი შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

„ უკეთუ სასამართლოს აღმასრულებელთან შემოსული თანხა საკმარისი არ იქნება ყველა გადასახდელის გასასტუმრებლად, რაც მოვალეზეა მიქცეული, ეს თანხა უნდა განაწილებულ იქნეს შემდეგნაირად: უწინარეს ყოვლისა უნდა მთლად დაკმაყოფილდეს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 101 მუხლში აღნიშნული მოთხოვნანი და მოგირავნის

## 44. Постановление № 32

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**Об изменеии 266 статьи Гражданского Процессуального Кодекса.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Статью 266 Гражданского Процессуального Кодекса изложить в следующей редакции:

„В случае, если поступившие к судебному исполнителю суммы недостаточны для удовлетворения всех обращенных на должника взысканий, таковые распределяются следующим образом: прежде всего удовлетворяются полностью требования, перечисленные в ст. 101 Гражданского Кодекса и претензии залогодержателя в порядке определенном названной статьей Гражданского Кодекса; после это-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეტენზიები სამოქალაქო კოდექსის ზემოხსენებულ მუხლში განსაზღვრული წესით. ამის შემდეგ დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს და კოოპერატიული ორგანიზაციის (ცენტრალური, რაიონული, ქალაქისა, სოფლისა და ტრანსპორტის) პრეტენზია, რომელზედაც არა ვრცელდება სამოქალაქო სამართლის კოდექსის 101 მუხლი.

ამის შემდეგ დანარჩენი თანხა განაწილებულ უნდა იქნეს ყველა სხვა კრედიტორებ შორის პროპორციონალურად პრეტენზიების მიხედვით. იმ თანხის ანგარიშს, რაც თვითეულ გადამხდევინებელს ერგება, სასამართლოს აღმასრულებელი შეადგენს სამი დღის განმავლობაში დღიდან ფულის მიღებისა.

**შენიშვნა.** იმ სარჩოს ნორმას, რაც 266 მუხლის თანახმად, უნდა იქნეს გადახდილი, დააწესებს იუსტიციის სახალხო კომისარიატი სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. ივნისის 1
ტფილისი—სასახლე.

го удовлетворяются претензии государственных учреждений и предприятий и кооперативных организаций (центральных, городских, сельских, районных и транспортных), не подпадающие под действие ст. 101 Гражданского Кодекса.

Остающиеся затем суммы распределяются пропорционально претензиям остальных кредиторов. Расчет причитающихся каждому взыскателю сумм составляется судебным исполнителем в течение трех дней со дня получения денег.

*Примечаание.* Норма алиментов, подлежащих согласно ст. 266 преимущественному удовлетворению, устанавливается Народным Комиссариатом Юстиции по соглашению с Народным Комиссариатом Социального Обеспечения".

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. июня 1.
Тифлис—Дворец.

## 45. დადგენილება № 33

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულ მთავარი საკურორტო სამმართველოს დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული

## 45. Постановление № 33

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов и Совета Народных Комиссаров Социалист. Сов. Респ. Грузии**

**О введении в действие положения о Главном Курортном Управлении при Комиссариате Здравоохранении.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет и Совет Народных Комиссаров ССР Грузии постановляют:

Утвердить и ввести в действие приложенное к настоящему постановлению Положение о Главном Курортном Управлении при Народном

დებულება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი საკურორტო სამმართველოს შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925. წ. ივნისის 25.
ტფილისი—სასახლე.

## დებულება

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი საკურორტო სამმართველოს შესახებ.**

I. მთავარ სამმართველოს მიზანი, უფლებანი და სახსარი.

1. კურორტთა მთავარი სამმართველო, რომელიც მოეწყო სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის თებერვლის 3-ს დეკრეტისა და 1923 წლის თებერვლის 3-ს თარიღისა და 29 №-რის დადგენილების თანახმად, არის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც განაგებს რესპუბლიკაში საკურორტო აღმშენებლობის საქმეს მშრომელთათვის ყოველგვარი საკურორტო დახმარების აღმოჩენის მიზნით.

2. მთავარი საკურორტო სამმართველოს ძირითად მიზანს შეადგენს:

ა) გაუწიოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში საკურორტო საქმეს უმაღლესი გამგებლობა იმ უფლებათა ნიადაგზე, რაც მომქმედ კანონმდებლობით საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კურორტთა შესახებ მინიჭებული აქვს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს.

ბ) გაუწიოს ხელმძღვანელობა კურორტების გეგმაშეწონილი ექსპლოატაციის საქმეს და რაც შეიძლება მეტის მიზანშეწონილობით წარმართოს ყველა ის ხელისშემწყო მეურნეობანი და სხვა შემოსავლიანი საქმე, რაც ამ ჟამად

Комиссариате Здравоохранения ССР Грузии.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Сов. Народ. Комис. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. июня 25.
Тифлис—Дворец.

## ПОЛОЖЕНИЕ

**о Главном Курортном Управлении при Народном Камиссариате Здравоохранении ССР Грузии.**

*I. Задачи, права и средства Главного Управления.*

1. Главное Курортное Управление, образованное на основании декрета ЦИК-а Грузии и Совета Народных Комиссаров ССР Грузии от 13 февраля 1923 года, является центральным руководящим органом, ведающим делом курортного строительства в Республике в целях предоставления трудящимся всех видов курортной помощи.

2. Основными задачи Главного Курортного Управления являются:

а) высшее управление всем курортным делом в ССР Грузии на основе прав, присвоенных действующим законодательством в отношении курортов общегосударственного значения Народному Комиссариату Здравоохранения;

б) руководство планомерной эксплоатацией курортов и наиболее целесообразным ведением всех тех подсобных хозяйств и других доходных статей, которые ныне находятся в пользовании курортов и которые могут быть дополнительно предоставлены им;

в) оказание всех видов курортной лечебной помощи широким слоям населения и застрахованным путем организации санаториумов, домов отды

კურორტების სარგებლობაში ან შეიძლება მომავალში მათ გადაეცეს.

გ) აღმოუჩინოს მცხოვრებთა ფართო მასებსა და დახლოვეულთ ყოველგვარი საკურორტო დახმარება სანატორიუმებისა, დასასვენებელი სახლების მოწყობით და ყოველნაირი, ფიზიკურ მეთოდებზე დამყარებული, წამლობით.

3) მთავარ სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოების განკარგულებაში გადადის ყველა, რაც-კი კურორტთა სარგებლობაშია: მიწები და წყლები, ტყეები, საბჭოთა მეურნეობანი, სათიბები, საბალახოები, ვენახები, სამრეწველო და სხვა შემოსავლიანი საწარმონი ყველა მათი შენობით, ნაგებობით, მოწყობილობით, ცოცხალი და უსულო ინვენტარით და აგრეთვე იმ შენობებით, რომელიც კურორტთა სამმართველოზე ირიცხება როგორც ქალაქებისა და კურორტების ფარგლებში მდებარე, ისე მათ-გარე.

4. ყველა იმ დარგში, რომელშიაც მთავარი სამმართველო განახორციელებს თავის საექსპლოატაციო-სამეურნეო მოქმედებას სამეურნეო ანგარიშის ნიადაგზე, იგი ისარგებლებს იმ უფლებას, რაც აღნიშნულია საქართველოს ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. თებერვლის 3-ს დეკრეტის მე-16 მუხლში.

5. მთავარ სამმართველოს უფლება აქვს კანონიერი წესით შეიძინოს და გაასხვისოს ყოველგვარი ქონება, თანახმად სამოქალაქო სამ. კოდ. 22 მუხლისა და მისი შენიშვნისა, იკისროს ვალდებულება, აიღოს სესხი, გაიხსნას კრედიტები ყოველგვარ საკრედიტო დაწესებულებაში, გასცეს თამასუქები, ისარჩლოს და პასუხი აგოს სასამართლოში და, საერთოდ, ისარგებლოს იურიდიული პირის ყოველი უფლება.

6. მთავარ სამმართველოს განკარგულებაში გადადის შემდეგი სახსარი:

ა) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაღებული თანხები პირდაპირი ფულადი ასიგნვისა, დოტაციისა თუ სესხის სახით;

ბ) კურორტებზე საწოლებისა, შენობებისა, სამკურნალო პროცედურებისა, სამთო-სასანიტარო დაცვის ფარგლებში მდებარე ბუნების სიმდიდრეთა, საბჭოთა მეურნეობისა, ყოველგვარი სანახეობისა, სარეწავისა და წარმოების

ха и всяких видов физических методов лечения.

3. Все находящиеся в пользовании курортов земли и водные пространства, леса, советские хозяйства, сенокосы, пастбища, виноградники, промышленные и др. доходные предприятия со всеми постройками, сооружениями, оборудованием, живым и мертвым интвентарем, а также числящиеся за Курортным Управлением строения, как в черте городов и курортов, так и вне их поступают в распоряжение Главного Управления и его местных органов.

4. Во всех тех отраслях, в которых Главное Управление будет осуществлять свою эксплоатационно-хозяйственную деятельность на началах хозяйственного рассчета, оно пользуется правами, указанными в п. 16 Декрета Грузцика и Совнаркома ССРГ от 3 февраля 1923 г.

5. Главное Управление имеет право в законном порядке приобретать и отчуждать всякого рода имущество согласно ст. 22 Гражданского Кодекса и примечания к нему, вступать в обязательства, совершать займы, кредитоваться во всякого рода кредитных учреждениях, обязываться векселями, искать и отвечать на суде и, вообще, пользоваться всеми правами юридических лиц.

6. В распоряжение Главного Управления поступают средства:

а) отпускаемые для курортов общегосударственного значения по государственному бюджету в виде прямых денежных ассигнований и материальных выдач, дотации и ссуд;

б) получаемые от эксплоатации курортных коек, помещений, лечебных процедур, естественных богатств в пределах округов горной и санитарной охраны, советских хозяйств, всякого рода угодий, промыслов и предприятий, а также от кредитных операций и займов.

7. Главное Управление ежегодно вырабатывает для представления на утверждение Народного Комиссариата Здравоохранения эксплоатационно-хозяйственный план по всем курортам общегосударственного значе-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპლოატაციიდან, აგრეთვე საკრედიტო ოპერაციებიდან და სესხიდან შემოსული თანხები.

7. მთავარი სამმართველო ვალდებულია ყოველწლიურად შეიმუშაოს ყველა საერთო-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის კურორტისათვის საექსპლოატაციო-სამეურნეო გეგმა და ამ გეგმის მიხედვით შედგენილი ხარჯთაღრიცხვა და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს.

## II. მთავარი საკურორტო სამმართველოს სტრუქტურა.

8. მთავარ საკურორტო სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი, რომელიც დამოუკიდებლად გადასწყვეტს ყველა საქმეს და პასუხისმგებელია ჯანმრთელობის სახალხო კომისრის წინაშე მთლად სამმართველოს და ყველა მისი ქვემდებარე დაწესებულებების მოქმედებისათვის საკურორტო წამლობისა და კურორტების სიმდიდრეთა ექსპლოატაციის საქმეში. მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელიც იმავე დროს განაგებს ამა თუ იმ განყოფილებას; უფროსის არ ყოფნის დროს მოადგილეს აქვს უფროსის ყოველი უფლება.

9. მთავარ საკურორტო სამმართველოს შეადგენს სამი განყოფილება: 1) მედიკო-სანიტარული, 2) სატყეო და სოფლის მეურნეობისა და 3) საფინანსო, და აგრეთვე საქმეთა მმართველობა.

10. მთავარ საკურორტო სამმართველოს ჰყავს კანტროლიორები, რომელთა რიცხვს საჭიროებისდამიხედვით განსაზღვრავს მთავარი საკურორტო სამმართველოს უფროსი, რომელსაც ისინი უშუალოდ ექვემდებარებიან.

11. მთავარ საკურორტო სამართველოსთან არსებობს:

ა) ბორჯომის საწარმოთა კომბინატი, რომელიც მოქმედობს ცალკე დებულების საფუძველზე და

ბ) სამეცნიერო-საკურორტო კომისია, სათანადო სექციებით (მედიკო-სანიტარული და სატყეო), რომელიც პერიოდულად შეიკრიბება და მეცნიერულად შეიმუშავებს მთავარ სამმართველოს მიერ მისთვის გადაცემულ საკურორტო საქმის საკითხებს.

12. თვითეულ განყოფილებას სათავეში უდგას გამგე. საქმეთა მმართველობას განაგებს საქმეთა მმართველი.

ния и составленные на основании это-го плана сметы.

## *II. Структура Главного Курортного Управления.*

8. Во главе Главного Курортного Управления стоит Начальник, который самостоятельно решает все дела, являясь ответственным перед Народным Комиссаром Здравоохранения за всю деятельность Управления и всех подведомственных ему органов в деле постановки курортного лечения и эксплоатации курортных богатств в Республике. У Начальника Главного Курортного Управления имеется заместитель, который в тоже время заведует каким-либо отделом, а за время отсутствия Начальника пользуется всеми правами последняго.

9. Главное Курортное Управление состоит: из 3-х отделов—1) Медико-Санитарного, 2) Лесного и сельско-хозяйственного и 3) Финансового, а также Управления Делами.

10. При Главном Курортном Управлении имеются контролеры, число которых по мере надобности определяет Начальник Главного Курортного Управления, каковому они непосредственно и подчиняются.

11. При Главном Курортном Управлении состоят:

а) Комбинат Боржомских предприятий, действующий на основании особого положения и

б) периодически созываемая научная курортная Комиссия с соответствующими секциями (медико-санитарной и лесной), научно разрабатывающая передаваемые Главным Управлением на ее рассмотрение вопросы курортного дела.

12. Во главе каждого отдела стоит Заведывающий отделом. Управлением делами заведывает Управляющий Делами.

13. При Управлении Делами находится общая канцелярия, обслуживающая все отделы Главкурупра. Управление делами ведает:

а) руководством общей канцелярией, учетом личного состава Главного Курортного Управления и местных органов, ведением книги приказов;

13. საქმეთა მმართველობასთან არსებობს საერთო კანცელარია, რომელიც მომსახურეობას გაუწევს მთავარ საკურორტო სამმართველოს ყველა განყოფილებას. საქმეთა მმართველობა:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს საერთო კანცელარიას, მთავარ საკურორტო სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების პირადი შემადგენლობის აღრიცხვის საქმეს და აწარმოებს ბრძანებათა დავთარს;

ბ) შეამზადებს მოსახსენებლად საერთო კანცელარიის მეშვეობით მთავარ საკურორტო სამმართველოში შემოსულ ყოველგვარ მიწერ-მოწერას და შეადგენს საერთო ანგარიშებს;

გ) გაანაწილებს განყოფილებათა შორის, მთავარი სამმართველოს უფროსის საერთო წინადადებისამებრ, ყველა აღძრულ საკითხსა და საქმეს შესამუშავებლად;

დ) აწარმოებს მთავარი საკურორტო სამმართველოს ყოველგვარ მიწერ-მოწერას ყველა დაწესებულებასთან და პირთან.

14. მედიკო-სანიტარული განყოფილება ხელმძღვანელობას გაუწევს მთლად კურორტებზე წამლობის დაყენებას, საექიმო-სასანიტარო ნაწილის მოწყობას და კურორტების საერთო განკარგების საქმეს.

15. მედიკო-სანიტარული განყოფილების გამგეობაში შედის:

1. **საექიმო-სასანიტარო საკითხები:**

ა) ავადმყოფთა შერჩევა და განაწილება, საექიმო და სასანიტარო ანგარიშდება და სტატისტიკა, სამეცნიერო საკურორტო დაწესებულებანი და მთავარ საკურორტო სამმართველოს გამომცემლობა;

ბ) ხელმძღვანელობა სანატორიუმებისა, დასასვენებელი სახლებისა, საკურორტო საავადმყოფოებისა, ბალნეოლოგიური დაწესებულებებისა, ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტისა, სანიტარიისა, მეტეოროლოგიური სადგურებისა, რომლებიც ფიზიკურ ობსერვატორიას არ ეკუთვნიან და ყოველგვარი ღონისძიება კურორტებისა, სამკურნალო წყლებისა და ტალახების ყოველმხრივ შესასწავლად.

**2. კურორტების საერთო განკარგებისა და ალმშენებლობის საკითხები:**

სათანადო პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა და აგრეთვე საქარ-

б) подготовкой к докладу всех бумаг, поступающих через общую канцелярию и Главное Курортное Управление и составлением общих счетов;

в) распределением между отделами, согласно общим указаниям Начальника Главкурупра, для разработки возникающих вопросов и дел;

г) всей перепиской по сношению Главного Курортного Управления со всеми учреждениями и лицами.

14. Медико-Санитарный Отдел руководит всею постановкой дела лечения и организацией медико-санитарной части и общего благоустройства на курортах.

15. К ведению Медико-Санитарного Отдела относятся:

**I. Вопросы лечебно-санитарные**

а) отбор и распределение больных, медицинская и санитарная отчетность и статистика, научные курортные учреждения и издательская деятельность Главного Курортного Управления;

б) руководство санаториями, домами отдыха, курортными больницами, бальнеологическими учреждениями, физико-терапевтическим институтом, санитарией, метеорологическими станциями, не входящими в ведение физической обсерватории, и принятие всех мер к всестороннему изучению курортов, целебных источников, грязей и т. д.

**2. Вопросы общего благоустройства и строительства на курортах:**

составление надлежащих проектов и смет, а равно и выполнение всех работ по восстановлению государственных курортов Грузии и по общему их благоустройству.

**3. Вопросы снабжения:**

Заготовка и распределение между отдельными курортами и санаториумами продовольствия и оборудование санаториумов, распределительных

თველოს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის კურორტების აღდგენისა და განკარგებისათვის ყოველგვარი მუშაობის წარმოება.

### 3. მომარაგების საკითხები:

დამზადება და განაწილება ცალკე კურორტებსა და სანატორიუმებს შორის სურსათ-სანოვაგისა, და მოწყობა სანატორიუმებისა, განმანაწილებელ პუნქტებისა, საავადმყოფოებისა და სხვა საკურორტო სამკურნალო დაწესებულებისა.

16. სატყეო და სოფლის მეურნეობის განყოფილებას დაეკისრება იზრუნოს ყველა იმ ტყისა და სასოფლო-მეურნეობისათვის, რაც სახელმწიფოებრივ კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ფარგლებში შედის და ყველა იმ სანახებზე, შენობაზე, ნაგებობაზე და დაწესებულებაზე, რაც მათ ეკუთვნის, ამ მიზნების განხორციელებისათვის—განყოფილება:

ა) გამოარკვევს მთლად ტყის სივრცეს სანახებიანად, გამიჯნავს მათ ნატურად სამიჯნო ნიშნებით და შეადგენს საამისო გეგმებს;

ბ) შეადგენს მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული სატყეო და სასოფლო-სამეურნეო მუშაობის გეგმას ტყის დანიხვრისა და დაცვისათვის საჭირო ნაგებობათა აშენებისათვის, პარკებისა და ხეხილის ბაღების მოვლისათვის, ფერმებისა და ბოსტნების მოწყობისათვის;

გ) აწარმოებს ტყისა, საძოვრებისა, სათიბებისა, სახნავებისა, ვენახებისა და თევზაობის ექსპლოატაციას, ტყისა და სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების გატანისა და გასაღების საქმეს.

17. საფინანსო განყოფილება განაგებს: მთავარი საკურორტო სამმართველოს ხარჯთაღრიცხვის შედგენისა, ფულის მიღებისა, შენახვისა და დახარჯვია საქმეს ხარჯთაღრიცხვის თანახმად; ადგილობრივი კურორტების სამმართველოების ხარჯთაღრიცხვისა და ანგარიშების შემოწმების და მათთვის ფულად და მატერიალურ სახსართა აღრიცხვისა და განაწილების საქმეს; ანგარიშებისა და ანგარიშწარმოების საქმეს.

### III. ადგილობრივი საკურორტო სამმართველოები.

18. ადგილობრივი საკურორტო სამმართველოების სათავეში სდგანან დი-

пунктов, больниц и других лечебных курортных учреждений.

16. На отдел Лесной и Сельско-Хозяйственный возлагается забота о всех лесных и сельско-хозяйственных площадях, входящих в границы округов горно-санитарной охраны Государственных Курортов Грузии и относящихся к ним угодий, построек, сооружений и учреждений. Для осуществления возложенной задачи отдел ведает:

а) приведением в известность всей лесной площади с угодьями, отграничением их в натуре межевыми знаками и составлением планов;

б) составлением планов хозяйства и производством связанных с ними лесных и сельско-хозяйственных работ по таксации и охране леса, возведению необходимых сооружений, по уходу за парками и плодовыми садами и по устройству ферм и огородов;

в) эксплоатацией леса, пастбищ, сенокосов, рыбной ловли, транспортом и реализацией лесных и сельско-хозяйственных продуктов.

17. Финансовый Отдел ведает: составлением смет по Главному Курортному Управлению, получением, хранением и расходованием денег, согласно сметных назначений, проверкой смет и отчетов местных Курортных Управлений, учетом и распределением между ними денежных и материальных средств, отчетностью и счетоводством.

### *III. Местные Курортные Управления.*

18. Во главе Управления Курортами на местах стоят директора, исполняющие все законные распоряжения Главного Управления, пользующиеся в делах их компетенции правом единоличного решения и несущие за свои распоряжения ответственность перед Главным Управлением.

19. Местные Курортные Управления под общим руководством Главного Управления выполняют следующие задачи:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რექტორები, რომელნიც შეასრულებენ მთავარ საკურორტო სამმართველოს ყველა კანონიერ განკარგულებას, თავიანთი კომპეტენციის საქმეს ერთპიროვანად გადასწყვეტენ და პასუხს აგებენ თავიანთ განკარგულებისათვის მთავარ სამმართველოს წინაშე

19. ადგილობრივი საკურორტო სამმართველოები, მთავარი სამმართველოს საერთო ხელმძღვანელობით, შეასრულებენ შემდეგ მოვალეობას:

ა) შეიმუშავებენ და წარუდგენენ მთავარ სამმართველოს თავიანთი სამკურნალო-საექსპლოატაციო და სამეურნეო მუშაობის გეგმას, აგრეთვე სამკურნალო დაწესებულებათა, სანიტარული განკარგებისა, ხელისშემწყობ მეურნეობათა და საწარმოთა (გარდა ბორჯომის კომბინატისა) ტეხნიკურ გეგმებს და ხარჯთაღრიცხვას;

ბ) მიაწვდიან კურორტებს ყველა საჭირო საგანს;

გ) გაანაწილებენ ცალკე კურორტებ შორის სახელმწიფო საწოლებს და აგრეთვე იჯარით გასცემენ თავისუფალ საექსპლოტაციო საწოლებს და თვალყურს ადევნებენ მათ წესიერად მოვლაშენახვას;

დ) მიზანშეწონილად წარმართავენ ხელისშემწყობ მეურნეობათა (ბაღი, ბოსტანი, ფერმა და სხვ.);

ე) შეამოწმებენ და მოაწესრიგებენ ცალკე კურორტებისა და საწარმოთა ანგარიშებს და თავიანთი დასკვნით წარუდგენენ მთავარ სამმართველოს.

20. კურორტების სარგებლობაში მყოფ მეურნეობას, საწარმოს და სარეწავს, მთავარი სამმართველოს ნებართვით, შეუძლიან მიიღოს ისეთი ფორმა და ორგანიზაცია, რაც უფრო უზრუნველყოფს მის მიზანშეწონილ ექსპლოატაციას ტრესტისა, კომბინატისა და სააქციონერო საზოგადოების მოწყობა შეიძლება მხოლოდ მთავარ სამმართველოს ნებართვით და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით.

21. ადგილობრივი საკურორტო სამმართველოები, მთავარი სამმართველოს მიერ დამტკიცებული სამეურნეო-საექსპლოატაციო გეგმის ფარგლებში, განახორციელებენ იმ უფლებათ, რაც აღნიშნულია ამა დებულების მე-5 მუხ.; დამოუკიდებლად განაგებენ მთავარ სამმართველოდან მიცემულ სახსარს და

а) разрабатывают и представляют Главному Управлению планы их лечебной, эксплоатационной и хозяйственной работы, технические планы и сметы по лечебным учреждениям, санитарному благоустройству, подсобным хозяйствам и предприятиям, за исключением Боржомского Комбината;

б) снабжают курорты всем необходимым;

в) распределяют между отдельными курортами государственные, а также сдают в аренду свободные эксплоатационные койки, наблюдая за правильным их содержанием;

г) организуют наиболее целесообразное ведение подсобных хозяйств (сады, огороды, фермы и др.);

д) проверяют и систематизируют отчеты отдельных курортов и предприятий и представляют их в Главное Управление со своими заключениями.

20. Находящиеся в пользовании курортов хозяйства, предприятия и промыслы могут получать, с разрешения Главного Управления, формы и организацию, наиболее обеспечивающие их целесообразную эксплоатацию. Образование трестов, комбинатов и акционерных обществ допускается лишь с разрешения Главного Управления и утверждения Сов. Народн. Ком. ССР Грузии.

21. В пределах утвержденного Главным Управлением хозяйственно-эксплоатационного плана и смет местные курортные управления осуществляют права, указанные в ст. 5 настоящего Положения; самостоятельно распоряжаются отпускаемыми им Главным Управлением средствами, а равно и средствами, получаемыми от эксплоатации курортов, подсобных хозяйств и помещений, представляя Главному Управлению подробные отчеты в их употреблении.

22. Распоряжение средствами и пользование правами, предусмотренными ст. 5 настоящего Положения, выходящими за пределы утвержденного хозяйственно - эксплоатационного плана, возможно лишь с особого в

აგრეთვე იმ სახსარს, რაც შემოვა კურორტისა, ხელისშემწყობ მეურნეობისა და შენობის ექსპლოატაციით, ხოლო მთავარ სამმართველოს წარუდგენენ დაწვრილებით ანგარიშს მათი მოხმარების შესახებ.

22. დამტკიცებული სამეურნეო-საექსპლოატაციო გეგმის გარეშე თანხების მოხმარება და ამა დებულების მე-5 მუხ. გათვალისწინებულ უფლებათა სარგებლობა შეიძლება მხოლოდ თვითეულ შემთხვევაში მთავარი საკურორტო სამმართველოს ნებართვით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმარულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1925 წ. ივნისის 25.
ტფილისი — სასახლე.

каждом отдельном случае разрешения Главного Курортного Управления.

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Председатель Сов. Народ. Комис. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Секретарь Всегрузнпского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. июня 25.
Тифлис—Дворец.

---

## 46. დადგენილება № 34

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

**სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-60 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-60 მუხლს დაემატოს მე-2 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„სახელმწიფო და სხვა ფასიანი საწარმდგენელო ქაღალდი, რომლის ტრიალიც ნებადართულია საბჭოთა სოც. რესპ. კავშირის ფარგალში და რომელიც შეიცავს ვალდებულებას განსაზღვრული ფულადი თანხის გადახდისას, აგრეთვე საბანკო ბილეთი, არ შეიძლება ჩამოერთვას კეთილსინდისიერ შემძენს იმ საბაბით, რომ ეს ქაღალდი თუ ბილეთი წინად დაკარგული ან მოპარული იყო ან და სახელმწიფო დაწე-

## 46. Постановление № 34

**Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов**

**О дополнении 60 ст. Гражданского Ко-дек.а примечанием 2.**

Всегрузинский Центральный Исполнительный Комитет Советов постановляет:

Дополнить 60 ст. Гражданского Кодекса примечанием 2 следующего содержания:

„Государственные и иные допущенные в пределах СССР ценные бумаги на пред'явителя, содержащие обязательство платежа определенной денежной суммы, а равно банковые билеты не могут быть истребованы от добросовестного приобретателя на том основании, что они ранее были утеряны или похищены или принадлежали Государственному учреждению

სებულებასა და საწარმოს ეკუთვნოდა და უკანონოდ გასხვისებული იყო".

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1925 წ. ივნისის 25.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-149 №-ში 1925 წ. ივლისის 2.

или предприятию и были незаконно отчуждены каким-либо способом".

Председатель Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *Ф. Махарадзе.*

Секретарь Всегрузинского Центрального Исполнительного Комитета Советов *С. Тодрия.*

1925 г. июня 25.
Тифлис--Дворец.

Распубликовано в газ. „Коммунист" № 149 от 2 Июля 1925 г.

---

## 47. დადგენილება № 13

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი**

**ცენტრალურ-საჩვენებელ სამკურნალო დაწესებულებათათვის სახელწოდების შეცვლის შესახებ.**

რადგანაც ცენტრალურ სამკურნალო-საჩვენებელ დაწესებულებებში სწარმოებს მეცნიერული მუშაობაც, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო იწოდებოდეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ-კლინიკურ ინსტიტუტად.

2. თვალის ცენტრალური საავადმყოფო იწოდებოდეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის თვალის სნეულებათა ინსტიტუტად.

3. ცენტრალურ-ფსიქიატრიული საავადმყოფო იწოდებოდეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ფსიქიატრიული ინსტიტუტად.

4. ამა დადგენილების 1—3 მუხლში აღნიშნული სამკურნალო დაწესებულებათა გამგენი ამიერიდან იწოდებოდნენ დირექტორებად.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.

1925 წ. აპრილის 21.
ტფილისი—სასახლე.

## 47. Постановление № 13

**Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии**

**О переименовании центральных лечебно-показательных учреждений.**

Ввиду того, что в центральных лечебно-показательных учреждениях ведется также и научная работа, Совет Народных Комиссаров Соц. Сов. Республики Грузии постановляет:

1. Главную больницу Республики переименовать в Центрально-Клинический Институт Наркомздрава.

2. Центральную глазную больницу переименовать в Институт по глазным болезням Наркомздрава.

3. Центральную Психиатрическую больницу переименовать в Психиатрический Институт Наркомздрава.

4. Заведывающих лечебными заведениями, указанными в ст. ст. 1—3 настоящего постановления, впредь именовать Директорами.

5. Настоящее постановление входит в силу со дня его опубликования.

Председатель Совета Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Управляющий Делами Совета Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе,*

1925 г. апреля 21.
Тифлис—Дворец.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 48. დადგენილება № 14

### საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომ. საბჭოსი

### სასროლი მასალისა და სანადირო სასროლი იარაღის შეძენისა, რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. ოქტომბრის 27 თარიღითა და 113 №-ით გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლის პ. «ა» და 8ა და 8ბ მუხლების გასაუქმებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სანადირო სასროლი მასალის,— როგორიც არის თოფის წამალი, ფალიაფისტონი და მასრა,—შეძენისა და ვაჭრობის უფლება მიეცეს მარტოოდენ საქართველოს მონადირეთა კავშირს.

ყველა კერძო მაღაზიამ და პირმა, რომელიც ვაჭრობს სანადირო სასროლ მასალას, უნდა გადასცეს ზემოაღნიშნული მასალა ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა საქართველოს მონადირეთა კავშირს ნომინალურ ფასად ანგარიშის ნაღდათ გასწორების საფუძველზე.

2. მთელი სანადირო სასროლი იარაღი განიყოფება ორ კატეგორიად:

I **კატეგორია:** ა) დაღარული სანადირო სასროლი იარაღი, როგორიც არის შაშხანა და დაღარული კარაბინი ისეთი, როგორიც შემოღებულია სოც. საბჭ. რესპ. კავშირის და უცხო ქვეყნების არმიების შეიარაღებისათვის, აგრეთვე სამხედრო ტიპისა (ბერდანისა, მაუზერისა და მანლიხერისა და სხვ.), რაც იხმარება მსხვილ ნადირზე ნადირობისათვის.

ბ) შაშხანა თოფი და დაღარული კარაბინი, მათ შორის ავტომატიურიც სრიალა საკეტით, რომელიც ჩამოეშვება და არ აიწევს—იარაღი, რომელსაც ჯარში არ ხმარობენ და რომელიც ამა კატეგორიის პუნქ. «ა»-ში არ არის აღნიშნული.

გ) ულარო და დაღარული რევოლვერი და დამბაჩა, მათ შორის ავტომატიურიც, რომელსაც არა ხმარობენ სოც. საბჭ. რესპ. კავშირის და უცხო ქვეყნების არმიის შესაიარაღებლად.

II **კატეგორია:** ა) ყველა ულარო თოფი, მათ შორის ავტომატიურიც.

## 48. Постановление № 14

### Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии

### О порядке приобретения, регистрации и учета охотничьего огнестрельного оружия и огнестрельных припасов.

В отмену пункта „а“ ст. 8 и статей 8а и 8б постановления Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Рес. Грузии за № 113 от 27 октября 1923 г., Совет Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии постановляет:

1. Право приобретения и торговли охотничьими огнеприпасами, как-то: порохом, капсюлями - пистонами и гильзами, предоставить исключительно Союзу Охотников Грузии.

Всем частным магазинам и лицам, торгующим охотничьими огнеприпасами, передать в двухнедельный, со дня опубликования настоящего постановления, срок означенные выше огнеприпасы магазину Союза Охотников Грузии за наличный расчет по номинальной цене.

2. Все охотничье огнестрельное оружие делится на 2 категории:

I категория: а) нарезное охотничье огнестрельное оружие, как-то: винтовки и нарезные карабины образцов, снятых с вооружения армий СССР и иностранных, а также типа военных образцов (Бердана, Маузера, Манлихера и т. п), применяемое при охоте по крупному зверю;

б) виновки и нарезные карабины, не исключая и автоматических, со скользящими, спускающимися и не подымающимися затворами под патроны, не состоящие на снабжении армий и не снесенные к п. „а“ настоящей категории;

в) гладкоствольные и нарезные револьверы и пистолеты, не исключая автоматических, не принятые на вооружение армий СССР и иностранных.

II категория: а) все гладкоствольные ружья, не исключая автоматических;

б) нарезные ружья: пистонные, кремневые или фитильные;

ბ) დალარული თოფები: ფისტონიანი, ქაჟიანი ან პატრუქიანი.

გ) დალარული თოფი გადასახრელი ლულით (შტუცერული ტიპისა).

დ) დალარული თოფი სრიალა საკეტით (ეშვება იგი თუ აიწევს).

ე) ერთ ან მრავალლულიანი თოფი საფანტით ან ტყვიით სასროლი:

3. იმ პირებმა, რომელთაც აქვთ I კატეგორიაში ჩამოთვლილი იარაღი, უნდა გაატარონ იგი რეგისტრაციაში ორი კვირის განმავლობაში საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოებში მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, და ამავე ორგანოებიდან უნდა მიიღონ ხსენებული იარაღის შენახვისა და ხმარების ნებართვა.

4. მე-2 კატეგორიაში ჩამოთვლილ იარაღს რეგისტრაცია უნდა ექნეს ამავე ვადაზე მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოში, რომელიც მისცემს ხსენებული იარაღის შენახვისა და ხმარების ნებართვას.

5. ამა დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლებში აღნიშნული ნებართვის მისაღებად საჭიროა ნადირობის უფლების მოწმობის წარდგენა.

6. ყველა იმ მაღაზიამ, რომელიც ეწევა სანადირო თოფების ვაჭრობას, გაყიდვასთანავე უნდა გაატაროს ყოველი გაყიდული თოფი სპეციალურ ზონარგაყრილ დავთარში, რაშიაც აღნიშნულ უნდა იქნეს რა დოკუმენტების ძალით და ვის მიჰყიდა იარაღი.

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე მიიცემა პასუხისგებაში სისხ. სამ. კოდექსის 226 მუხლისამებრ.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭ. თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1925 წ. აპრილის 28.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-102 №-ში 1925 წ. მაისის 7.

в) нарезные ружья с откидными стволами (штуцерного типа);

г) нарезные ружья со скользящими (опускающимися или подымающимися) затворами;

д) одно-или-многоствольные ружья для стрельбы дробью или пулей.

3. Лицам, имеющим оружие, поименованное в 1-ой категории, надлежит зарегистрировать таковое в двухнедельный срок в органах ЧК Грузии по месту жительства, откуда и получить разрешение на право хранения и ношения означенного оружия.

4. Оружие, поименованное во 2-ой категории, подлежит регистрации в тот-же срок в органах Р/К Милиции, которая и выдает разрешение на право хранения и ношения такового.

5. Для получения указанного в статьях 3-й и 4-ой настоящего постановления разрешения необходимо представление удостоверения на право охоты.

6. Всем магазинам, торгующим охотничьими ружьями, надлежит при продаже регистрировать таковые в специально заведенных шнуровых книгах, в коих должно быть отмечено, на основании каких документов и кому продано оружие.

7. Лица, виновные в нарушении настоящего постановления, подлежат ответственности применительно к 226 ст. Уг. Кодекса.

8. Настоящее постановление входит в силу со дня его опубликования.

Председатель Совета Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ш. Элиава.*

Управл. Делами Совета Нар. Ком. Соц. Сов. Респ. Грузии *Ал. Саларидзе.*

1925 г. апреля 28.
Тифлис—Дворец.

Распубликовано в г. „Коммунист“ № 102 от 7 мая 1925 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 49. დადგენილება № 15

### საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომის. საბჭოსი

### სასოფლო მეურნეობის რესპუბლიკანური, სამაზრო და სათემო საექსპერტო კომისიების დაარსების შესახებ.

რესპუბლიკის სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ შეძლებისამებრ სრული და სწორი ცნობების მისაღებად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაარსდეს რესპუბლიკანური, სამაზრო და სათემო სასოფლო მეურნეობის საექსპერტო კომისიები.

2. საექსპერტო კომისიებს ევალებათ შეკრიბონ ხოლმე შემდეგი ცნობები:

ა) სახნავ-სათესი და სათიბი მიწების, ვენახების, ბაღების და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მდგომარეობის შესახებ;

ბ) ამა თუ იმ ადგილას ყველა გავრცელებულ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსალოდნელი მოსავალის შესახებ;

გ) მესაქონლეობის მდგომარეობისა და ეპიზოოტიების შესახებ;

დ) ყველა იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც განადგურდება ნათესები სეტყვისა, ყინვისა, წყალდიდობისა და სხვა მიზეზებისაგან;

ე) მოსახლეობის სასურსათო მდგომარეობის შესახებ.

3. რესპუბლიკანური საექსპერტო კომისია დაარსდება სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან, ხოლო სამაზრო და სათემო საექსპერტო კომისიები—სამაზრო და სათემო აღმასკომებთან.

4. სათემო და სამაზრო საექსპერტო კომისიები თავისი მუშაობის დროს ხელმძღვანელობენ საქართველოს ცენტრალური სტატისტიკის სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების—სამაზრო სტატ-ბიუროების—ინსტრუქციებით.

5. რესპუბლიკანური საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში არიან: თავმჯდომარედ—სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მმართველი ან მისი მოადგილე, ხოლო წევრებად—მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის, ა|კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართ-

## 49. Постановление № 15

### Совета Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии

### Об учреждении Республиканской, Уездных и Темских Экспертных Комиссий по сельскому хозяйству.

В целях получения возможно полных и точных сведений о состоянии сельского хозяйства в Республике, Совет Народных Комиссаров Соц. Сов. Респ. Грузии постановляет:

1. Учредить Республиканскую, Уездные и Темские Экспертные Комиссии по сельскому хозяйству.

2. В круг обязанностей Экспертных Комиссий входит собирание следующих сведений:

а) о состоянии посевной и сенокосной площади, виноградников, садов и др. культур;

б) о видах на урожай всех распространенных в данной местности сельско-хозяйственных культур и определение ожидаемого урожая;

в) о положении скотоводства, об эпизоотиях и пр.;

г) о всех случаях гибели посевов от градобития, заморозков, наводнений и пр.;

д) о продовольственном положении населения.

3. Республиканская Экспертная Комиссия учреждается при Центральном Статистическом Управлении, а уездные и Темские Экспертные Комиссии—при Уездных и Темских Исполкомах.

4. Темские и Уездные Экспертные Комиссии руководствуются в своих работах инструкциями Центрального Статистического Управления Грузии и его местных органов — Уездных Статбюро.

5. В состав Республиканской Экспертной Комиссии входят: Председателем—Управляющий Центральным Статистическим Управлением Грузии или его Заместитель; членами—представители: Наркомзема, Уполнаркомфина, НаркомРКИ, Госстраха, Физической Обсерватории, Сельско-Хозяйственного Банка и Цармокавшири.

ველოს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის, სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს, ფიზიკური ობსერვატორიის, სასოფლო-სამეურნეო ბანკის და წარმოკავშირის წარმომადგენელნი.

სამაზრო საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში არიან: თავმჯდომარედ—სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, ხოლო წევრებად—სამაზრო ფინგანყოფილების გამგე, აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილების საადგილ-მამულო ქვეგანყოფილების გამგე, სამაზრო აგრონომი, მაზრის სტატბიუროს გამგე, კოოპერაციის წარმომადგენელი და აგრეთვე სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს წარმომადგენელი, სადაც იგი არის.

სათემო საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში არიან: თავმჯდომარედ—სათემო აღმასკომის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, ხოლო წევრებად—თემის აგრონომი, სადაც იგი არის, და კოოპერაციის წარმომადგენელი.

საექსპერტო კომისიებს უფლება ეძლევათ, უკეთუ საჭირო იქნება, მოიწვიონ მცოდნე პირებიც გადამწყვეტი ხმის უფლებით.

6. ცნობების თავის დროზე და სისწორით მოწოდებისათვის პასუხისმგებელნი არიან საექსპერტო კომისიების თავმჯდომარენი.

7. ამა დადგენილების გამოქვეყნებისთანავე საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წლის მაისის 31-ს თარიღით და 19 №-ით გამოცემული დადგენილება, სამაზრო და სარაიონო საექსპერტო კომისიების შესახებ, ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქართვ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭ. თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1925 წ. აპრილის 30.
ტფილისი—სასახლე.

